# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 3 ივლისი, 2012 წელი.

№125 (7001)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


# ხელისუფლებამ რაც არ უნდა დაგეგმოს, ეს ბრძოლა ჩვენი გამარჯვებით დასრულდება!..



## ბიძინა ივანიშვილი მიესალმება მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობას


2-3


## „ნაციონალებს დედა აღარ ჰყავს“


4


## ხალხი ხელისუფლებას აღარ ხვდება

## დააწინაურეს თუ დააქვეითეს ვანო მერაბიშვილი?


5


## „შესაძლოა, გაპრემიერებით მერაბიშვილი პოლიტიკურ პროცესებს ჩამოაშორეს“...


6


## სალარო აპარატის ჩეკების აფიორა გრძელდება


6






# ხელისუფლებამ რაც არ უნდა დაგეგმოს, ეს ბრძოლა ჩვენი გამარჯვებით დასრულდება!..

## ბიძინა ივანიშვილი მიესალმება მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობას

**ჩემო ძმებო და დებო!**
**ჩემო საყვარელო ხალხო!**

მოგესალმებით და დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ აქ შეკრებისთვის.

მე დღეს თქვენთან შეხვედრა გერგეტიდან დავიწყე, სტეფანწმინდასა და ფასანაურშიც ვიყავი. 14 ივლისს ფშავში ვაპირებ ასვლას, ჩარგალში, — ვაჟაობაზე, დუშელებსა და თიანელებსაც ვეწვევი. ყველგან მივალ, ყველას გასაჭირს გავიზიარებ, გპირდებით!

მივესალმები სრულიად საქართველოს!

მივესალმები მცხეთა-მთიანეთს — ყაზბეგს, დუშეთს, თიანეთს, ჩვენს მოუშუშებელ ტკივილს — ახალგორს!

დღეს აქ, მცხეთაში, ამ უძველეს ქართულ მიწაზე, შევიკრიბეთ, რათა მხარდაჭერა გამოვუცხადოთ ერთმანეთს!

მთისა და ბარის ხალხი აქ საერთო გასაჭირმა შეგვყარა — თუ დროზე არ ვუპატრონეთ, თუ დროზე არ მივხედეთ, ჩვენი სამშობლო ხელიდან გამოგვეცლება.

საქართველოს გარდა კი, ჩვენ სხვა სამშობლო არ გაგვაჩნია!

საქართველოა ჩვენი სამშობლო, საქართველოა ჩემი სამშობლო და მის სიყვარულს ვერავინ ამიკრძალავს. მე აქ ვიცხოვრებ და ჩემი ხალხის სიყვარულში დავიხარჯები, მინდა ჩემს ხალხს ვემსახურო, გაჭირვებული ყოფა შევუმსუბუქო, და ამისათვის ყველაფერს გავიღებ, სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს!

ამ მიწაზე დგომა უდიდეს პასუხისმგებლობას მაკისრებს. აქ თავდადებით და თავგანწირვით ვერავის გააკვირვებ. აქ ნათქვამ თითოეულ სიტყვას განსაკუთრებული ძალა აქვს, რადგან არსად ისე არ იგრძნობა ჩვენი ისტორია, ჩვენი წინაპრების სულის გამოძახილი, როგორც აქ, ამ უძველეს ქალაქში — მცხეთაში!

სწორედ აქ, ამ ადგილას, არმაზის მთის ძირას, მტკვრისა და არაგვის შესართავთან დააფუძნა ფარნავაზმა ქართული სახელმწიფო.

აქ იქადაგა წმინდა ნინომ ქრისტიანობა და აქვე, არმაზში, კერპები დაამსხვრია.

აქ, ამ ქალაქში, 326 წელს მეფე მირიანმა ქრისტიანობა მიიღო და შემდეგ იგი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. სწორედ მაშინ გადაწყდა საქართველოს მომავალი განვითარების ბედი! სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ჩვენი ქვეყნის არჩევანს - გამხდარიყო ევროპული ცივილიზაციის ნაწილი. მრავალი ისტორიული ქარტეხილის მიუხედავად, მრავალი განსაცდელის მიუხედავად, საქართველო დღესაც ამ არჩევანის ერთგული რჩება.

დღეს ჩვენ აქ, ჩვენი ქვეყნის ისტორიის, კულტურისა და სულიერების შუაგულში ვდგავართ.

ჯვარი და სვეტიცხოველი — ეს ორი ტაძარი ჩვენი ისტორიის არა დასაწყისს, არამედ უწყვეტობას აღნიშნავს, რადგან ეს ტაძრები ცარიელ ადგილზე არ აშენებულა, ეს ტაძრები ძველი, წარმართული სალოცავების ადგილზე და მათ მაგივრად აიგო. ჩვენ მართლაც თვალუწვდენელი ისტორია გვაქვს და ეს ისტორია, რაც არ უნდა ხშირად გაგვიმეორონ, 2003 წელს ნამდვილად არ დაწყებულა.

მცხეთა-მთიანეთი ჩვენი სამშობლოს ციხე-სიმაგრედ ქცეული კარიბჭეა. ფშავი, ხევსურეთი, მთიულეთი, გუდამაყარი, ქსნისხევი, ყაზბეგი, დუშეთი ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე და ძალაა, ვაჟკაცი მოსახლეობით, რომელიც ყოველთვის იდგა სამშობლოს სადარაჯოზე, ქართველი კაცის ღირსების, კულტურისა და ტრადიციების სადარაჯოზე.

სტუმარ-მასპინძლობას, მეგობრობას, ძმადნაფიცობას, მოყვასის სიყვარულს მთაში განსაკუთრებული ფასი აქვს.

მთამ შექმნა უნიკალური ფოლკლორი, გენიალური ხალხური პოეზია. სწორედ მთაში, ალბათ ისე, როგორც არსად სხვაგან, „ნისლი ფიქრია მთებისა“.

და ეს არ არის შემთხვევითი. რა თქმა უნდა, არც ის არის შემთხვევითი, რომ ამ მთების წიაღში დაიბადა ვაჟა-ფშაველა. და არც ის არ უნდა იყოს შემთხვევითი, და ესეც ჩვენი უბედურებაა, რომ სწორედ ვაჟამ სიღარიბეში დალია სული.

ვაჟა, რომელმაც „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“ და სხვა შედევრები დაუტოვა კაცობრიობას, ამბობს, რომ კაცისთვის ღირსებაა მთავარი, მეტიც, რომ ღირსება არა მარტო სიცოცხლეზე - სახელზე მეტიც კი არის. ნუ იქნები სახელოვანი, იყავი ღირსეული, თუნდაც შენი მეხოტბე და მაქებარი მთელი საზოგადოება დაგიპირისპირდეს. როცა საზოგადოება თუნდაც ერთი კაცის ღირსებას დაუპირისპირდება, ასეთი საზოგადოება თვითკმაყოფილ ჯოგად გადაიქცევა და, შესაბამისად, კაპიკია მისი ფასი! აი, ეს მთავარი სათქმელი გვითხრა ვაჟა-ფშაველამ.

ამ ღირებულებებს უნდა ეფუძნებოდეს ქართული სახელმწიფო და ჩვენ სწორედ ასეთ ქვეყანას ავაშენებთ! უღირსობას ღირსებას დავუპირისპირებთ! ამ ქვეყანაში მცხოვრები თითოეული ადამიანის, თითოეული მოქალაქის ღირსებას დავიცავთ, გპირდებით!

აი, ამ ღირებულებების, კულტურისა და ტრადიციის ხალხს დაუპირისპირდა ეს ხელისუფლება და მისი დამარცხება მოინდომა. მაგრამ ამ ბრძოლაში თავად მარცხდება!

მე პირდაპირობა მიყვარს. არ ვამბობ, რომ ჩვენს ხელისუფლებაში ყველა უწესო ან ურიგო ადამიანია, მაგრამ არც ფაქტების შელამაზება მჩვევია. ყველამ ვიცით, რომ უწესრიგობა არც მანამდე გვაკლდა, მაგრამ ამ ხელისუფლებამ მას სისტემური სახე მისცა. ამასთან შეგუება დანაშაულია!

ჩვენ ბოლოს მოვუღებთ უწესრიგობას ჩვენს ქვეყანაში. ამის გარეშე ქართული ოცნება არ ასრულდება! თავისუფლებას კი მხოლოდ სამართლიანი კანონებისა და წესრიგის მყარ ნიადაგზე შეუძლია არსებობა, უწესრიგობასა და ქაოსში თავისუფლებას, უბრალოდ, არ დაედგომება! მე თქვენ გპირდებით, რომ ქართული ოცნება მოიპოვებს და დაამკვიდრებს სამართლიანობას, წესრიგს! თავისუფლებას!

ჩვენ ისეთ ქვეყანაზე ვოცნებობთ, სადაც საკუთარი წარსულის მიჩქმალვას კი არ ცდილობენ, არამედ პატივს მიაგებენ წინაპართა ღვაწლს. ჩვენ ისეთ ქვეყანაზე ვოცნებობთ, სადაც ადამიანის ღირსებას პატივს სცემენ, სადაც ნიჭი და შრომა დაფასებული იქნება!

ამ ხელისფულებას ეს ქვეყანა რომ ჰყვარებოდა, ამ მადლიან მხარეს შიმშილის პირას არ მიიყვანდა, სიდუხჭირეში არ ამოხდიდა სულს, ასეთ გულღია და სიცოცხლისმოყვარე ხალხს მომავლის იმედს არ მოუსპობდა, არ გაამწარებდა და მის სხვა ქვეყნად და სხვა ხალხად გადაქცევას არ განიზრახავდა!

როგორ შეიძლება მოგინდეს, რომ მცხეთა, ფშავი, ხევსურეთი, მთიულეთი, გუდამაყარი, ქსნისხევი, ყაზბეგი, დუშეთი რამე სხვას დაამსგავსო?

მე დარწმუნებული ვარ, რომ სწორი, გააზრებული, თანამიმდევრული პოლიტიკით ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას და ველარავინ შეძლებს, უკან დაგვწიოს და შეაჩეროს საქართველოს სვლა დემოკრატიისკენ, თანამედროვე სამყაროსკენ!

დღეს, აქ, ერთმანეთს სიტყვა მივცეთ, რომ ერთად ვიბრძოლებთ ჩვენი სამშობლოსთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი უფლებებისთვის, ჩვენი ოჯახებისთვის! ჩვენი მომავლისთვის! დღეიდან ჩვენ ყველანი თანამებრძოლები ვართ!

მე ახლა, თქვენთან ერთად, სიმართლეს მინდა გავუსწორო თვალი. სიმართლე კი არის ჩვენი ხალხის სიღარიბე და გაჭირვება, უამრავი უდანაშაულო პატიმარი, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ოკუპირებული ტერიტორიები.

დარწმუნებული ვარ, დღეს აქ, ჩვენს შორის, წეროვანის ახალი მოსახლეებიც დგანან. ახალი იმიტომ, რომ ბედის უკუღმართობით საკუთარი სოფლებიდან აიყარნენ და თავისსავე სამშობლოში დევნილებად იქცნენ. მთელ საქართველოში ყველაზე მებრძოლმა და შეუპოვარმა ხალხმა წარმოუდგენელ განსაცდელს, წარმოუდგენელ ტკივილს, წარმოუდგენელ გაჭირვებას გაუძლო, უახლოესი ადამიანები ომში დაკარგა. მათ წინაშე მინდა ქედი მოვიხარო!

უნდა მივმართო ამ ადამიანებს: საკუთარ სახლებში დაბრუნებამდე, ჩვენ ყველა პირობას შეგიქმნით, რათა სასწრაფოდ გაიმართოთ წელში! თქვენ ნორმალური ცხოვრების შესაძლებლობა უნდა გქონდეთ! თქვენ აღარ იქნებით ხელისუფლების მოწყალებაზე დამოკიდებული, თქვენ, ღირსეული კუთხის ღირსეული შვილები, ღირსეულ ცხოვრებას შეძლებთ! მე ამის სიტყვას გაძლევთ!

დაპირებებს ადვილად არ ვიძლევი, იმიტომ რომ სიტყვის ფასი ვიცი. ასე მიცხოვრია და ასე მიცნობენ.

დღეს ამ აქციით და სხვა მრავალათასიანი აქციებით კარგად გამოჩნდა, როგორი მხარდაჭერა აქვს „ქართულ ოცნებას“. სწორედ ამიტომ, ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს, რათა დააკნინოს ამ აქციების მნიშვნელობა, და გაუგონარ შეურაცხყოფას გვაყენებს როგორც ჩვენ, აქციის ორგანიზატორებს, ისე თქვენ, ჩვენს მხარდამჭერებს.

სააკაშვილს ისე უნდა წარმოაჩინოს, რომ ჩვენ და ჩვენი მხარდამჭერები სხვა ქვეყნიდან ვიმართებით, მეტიც, გამუდმებით იმეორებს, — ივანიშვილს მხოლოდ იმიტომ უდგანან გვერდში, რომ ბევრი ფული აქვსო.

მე არა მაქვს ასეთი წარმოდგენა საკუთარ ხალხზე, მე არ ვაკადრებ ჩემს ხალხს ასეთ შეურაცხყოფას. მე ვიცი, რომ ჩემი მთავარი კაპიტალი თქვენი ნდობაა, ჩემი განვლილი ცხოვრებაა, რომლითაც არასდროს მიტრაბახია.

მე ყოველთვის ვცდილობდი, რამდენადაც შემეძლო, დავხმარებოდი ჩემს სამშობლოს, ჩემს ხალხს. ეს ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა ყოველთვის. მაგრამ დავრწმუნდი, მხოლოდ ასეთი დახმარებით ქვეყნისა და ხალხის მდგომარეობას საგრძნობლად ვერ შევცვლიდი.

ჩემი ქვეყნისა და ხალხის გაუსაძლის მდგომარეობას რომ ვხედავდი და ამ ხელისუფლების თავგასულობას ბოლო რომ არ უჩანდა, ამან გადამაწყვეტინა პოლიტიკაში მოსვლა.

მე ვერ მოვახდენ სასწაულს, მაგრამ ჩემს გუნდთან ერთად, თქვენთან ერთად, ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რისი გაკეთებაც შესაძლებელია. რეალური პოლიტიკა, რეალური ნაბიჯები, ეს არის ის, რასაც გპირდებით.

ჩვენ ქვეყნისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მხოლოდ ჩვენი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით მივიღებთ. ხალხის დაუკითხავად, ჩვენ არც ერთ ნაბიჯს არ გადავდგამთ!

ამ რამდენიმე თვის წინ გაიხსნა ლარსის საბაჟო გამშვები პუნქტი. მეზობელ სახელმწიფოებთან მოწესრიგებული ურთიერთობები როგორ შეიძლება კაცს არ უხაროდეს ან რამე ჰქონდეს ამის საწინააღმდეგო.

მაგრამ, როცა შენს ხალხს კვლავ დამცირებულს და დაბეჩავებულს ხედავ, როცა ხედავ, რომ მისთვის სასიკეთო ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა, აუცილებლად



გიჩნდება კითხვა: რატომ არსად და არც ერთ შემთხვევაში არ ითვალისწინებს ეს ხელისუფლება თავისი ხალხის ინტერესს? განა არ შეიძლებოდა ისეთი შეთანხმების მიღწევა, რომ ლარსის გამშვები პუნქტის ამოქმედებით მეზობელი ქვეყნისთვის სასიკეთოდ გადადგმული ნაბიჯი შენი ხალხისთვისაც გამოსადეგი ყოფილიყო? ნუთუ ძნელი იყო ისეთი შეთანხმების მიღწევა, რომელიც შენს ხალხსაც წაადგებოდა და ცოტათი მაინც ამოასუნთქებდა?

ამის პასუხი ერთია — ამ ხელისუფლებას არ აინტერესებს საკუთარი მოქალაქეების ბედი. ის გადაწყვეტილებებს არ იღებს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ეს მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებისთვის გადადგმული ნაბიჯებია, რომელსაც ნებისმიერ ფასად აღწევს. ეს უნდა დამთავრდეს!

ხელისუფლების ყველა ნაბიჯი, პირველ რიგში, ჩვენი მოქალაქეების თანხმობით უნდა იდგმებოდეს და მათ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. ჩვენ ვიქნებით ის ხელისუფლება, რომელიც ამას შეძლებს, გპირდებით!

დღეს ერთი ადამიანი წყვეტს ყველაფერს ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონში, ყველა ქალაქში, ყველა სოფელში. დღეს მხარეებს განაგებენ გუბერნატორები, რომლებიც პირადად სააკაშვილის სურვილებს ემორჩილებიან, მისი ახირებების უსიტყვო შემსრულებლები არიან.

„ქართული ოცნება" დაამკვიდრებს თვითმმართველობას — ჩვენი მოქალაქეები თვითონ მიიღებენ გადაწყვეტილებებს საკუთარ ქალაქებში, რაიონებსა და სოფლებში, თავად დაგეგმავენ ბიუჯეტს და თავად იქნებიან მისი განმკარგველები.

კანონით იქნება განსაზღვრული, ცენტრიდან რა თანხა გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას. აღარასოდეს იქნება დამოკიდებული ამ თანხის ოდენობა და გადაცემა-არგადაცემის საკითხი რომელიმე ჩინოვნიკის ნება-სურვილზე.

თვითმმართველობის სიკეთეს ყველანი იგრძნობთ. ჩვენ ამას გპირდებით!

ერთპიროვნული მმართველობის შედეგია ის მდგომარეობა, რომელშიც ქართული სოფელი ჩავარდა. სოფლის დაკნინებასთან ერთად, მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღატაკეში აღმოჩნდა, რადგან მათი უმრავლესობა მიწაზე შრომით ირჩენდა თავს. ქვეყნის სირცხვილია ის, რომ დღევანდელი ქართული სოფელი შიმშილობს. მოსახლეობის დიდი ნაწილი ვეღარ ახერხებს თავის შენახვას და ოჯახის სარჩენად უცხოეთშია გადახვეწილი.

დუშეთში, ყაზბეგში, თიანეთში, ამ მაღალმთიან რაიონებში მთლიანად მოშლილია მეცხოველეობაც და მიწათმოქმედებაც, მიწაზე მომუშავე გლეხი მარტოკა ვეღარ უმკლავდება თავის გასაჭირს.

საქართველოს მთიანეთის სოფლები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ქვეყნის კარიბჭის ფუნქციას ასრულებდნენ, დღეს იცლება იმის გამო, რომ აღარ არსებობს სკოლები, ბაგა-ბაღები და, ხშირ შემთხვევაში, სასურსათო მაღაზიებიც კი. ამ სოფლებში ეკლესია-სალოცავებიც კი ინგრევა და კაცი არ არის მიმხედავი. ეს უნდა დასრულდეს!

ჩვენ ავამოქმედებთ მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონს, რომელიც რეალურად შეუწყობს ხელს მთის სოფლების აღორძინებას და მოსახლეობის დაბრუნებას.

სოფელს ეყოლება პატრონი და ეს პატრონი მისი მოსახლეობა იქნება!

სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდება მაღალმთიანი რეგიონის მცირეკონტინგენტიანი სკოლები, ყველა სოფელში აღდგება ბაგა-ბაღები და სკოლები, რადგან მათზეა დამოკიდებული არა მარტო განათლების საკითხი, არამედ მოსახლეობის დამაგრება და ისტორიული კუთხეების დაცლისაგან გადარჩენა.

ძლიერი სოფელი ძლიერი ქვეყნის საწინდარია. სწორედ ამიტომ, „ქართულ ოცნებას" დაგეგმილი აქვს, ააღორძინოს ქართული სოფელი და ამისათვის შექმნას ერთმილიარდიანი ფონდი.

ამ გეგმის მიხედვით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოქალაქეები შეძლებენ გრძელვადიანი, ხელმისაწვდომი და შეღავათიანი სესხების აღებას და ამით სარგებლობას; მოწესრიგდება მიწის დაკანონების საკითხები და შეიქმნება სათანადო გარანტიები; გლეხებს ხელი შეეწყობათ მოსავლის აღებაში, დაბინავებაში, დასაწყობებაში, ბაზარზე გატანასა და გასაღებაში.

ჩვენ შევძლებთ ჩვენი მოსახლეობის გამოკვებას ადგილობრივი წარმოების პროდუქტით, აღარ ვიქნებით დამოკიდებული უცხოეთიდან შემოტანილ პროდუქტზე, ბაზარში კვლავ დაბრუნდება იაფი და ამავე დროს ხარისხიანი ადგილობრივი ბოსტნეული, ხილი, ხორცი. საბოლოოდ, სოფლის განვითარება საქართველოს კეთილდღეობას ჩაუყრის საფუძველს.

ჩვენ ხელს შევუწყობთ მთისთვის დამახასიათებელი ქართული ტრადიციული დარგების აღორძინებას - ქსოვას, ქარგვას და ვიზრუნებთ ამ ტრადიციის აღდგენისათვის, შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

მთიანი საქართველოს უნიკალური ბუნება, უნიკალური ეთნოგრაფიული თავისებურებები იმის საშუალებას იძლევა, რომ ამ რეგიონის ტურისტული პოტენცია სათანადოდ გამოვიყენოთ და განვავითაროთ.

მსოფლიოში სულ უფრო ცოტა რჩება ასეთი ადგილები. ასეთი წყალი გვაქვს, ასეთი ბალახი, ასეთი მთა. ბუნებამ ჩვენ ასეთი სიმდიდრე გვარგუნა და ჩვენ ამ სიმდიდრეს გამოვიყენებთ, გპირდებით!

ჩემო ძმებო, ჩემო თანამებრძოლებო!

დღეს ჩვენს ქვეყანაში უამრავი პრობლემა დაგროვდა. აღარ დარჩა არც ერთი დარგი, არც ერთი სფერო, სასწრაფოდ გადაჭრას რომ არ მოითხოვდეს.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი დღეს საჯარო სამსახურში დასაქმებული ჩვენი მოქალაქეების მდგომარეობაა. ყველამ კარგად ვიცით, როგორი მძიმე პოლიტიკური წნეხის ქვეშ უწევთ მათ მუშაობა. ხელისუფლება მათ მხოლოდ პირადი ერთგულების ნიშნით აფასებს და პოლიტიკური ნიშნით ათავისუფლებს.

სულ ახლახან, ხელისუფლების ერთმა აქტიურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თურმე საჯარო სამსახურში დასაქმებულს არ შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული აზრი. ეს განცხადება დემოკრატიულ ღირებულებებთან ისე შეუთავსებელია, დემოკრატიული ღირებულებების ისეთი უგულებელყოფა, რომ ხელისუფლებას მოუწია ამ ფრაზის უარყოფა და თავად ამ სიტყვების ავტორს დემოკრატიული ღირებულებების არცოდნაშიც კი დასდო ბრალი.

დიახ, მშვენივრად იცის ხელისუფლებამ, რომ ყოვლად დაუშვებელია საჯარო მოსამსახურის პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლება, თუმცა ამას ყოველი ფეხის ნაბიჯზე თავად სჩადის.

ჩვენ ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან გავათავისუფლებთ საჯარო სამსახურს პოლიტიკური წნეხისაგან. საჯარო მოხელის დასაქმება და გათავისუფლება აღარ იქნება ვინმეს ნება-სურვილზე დამოკიდებული, მათ მხოლოდ პროფესიონალიზმი და საქმისადმი ერთგულება მოეთხოვებათ.



ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგ შეწყდება პოლიტიკური ანგარიშსწორება, არ დაიწყება წინა ხელისუფლების მომხრეების და სახელისუფლებო სტრუქტურებში ნამსახურები ადამიანების დევნა. მე პირდაპირ და გადაჭრით ვიტყვი: ჩვენ ამას არ დავუშვებთ!

ჩვენ ყველანი დიდი იმედით შევყურებდით პოლიციის რეფორმას. ჩვენს თვალწინ პოლიციაში მუშაობა პრესტიჟული და საამაყო გახდა, ქუჩებში ვხვდებოდით თავაზიანი ღიმილითა და სიტყვა-პასუხით ერთმანეთზე უკეთეს ახალგაზრდებს, ჩვენს ძმებს, ჩვენს შვილებს.

ხომ უნდა მოეხერხებინა ხელისუფლებას, რომ ეს შემართება, ეს იმედი და ამხელა ნდობა გაეცამტვერებინა. დღეს ჩვენ მივიღეთ სტრუქტურა, რომელიც ხელისუფლების ერთი მცირე ჯგუფის ძალადობას განიცდის და მათი უკანონო ბრძანების შემსრულებელია. სამწუხაროდ, ჩვენ ყველანი გავხდით იმის მოწმე, რომ ეს სტრუქტურა არა ერთხელ განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა საკუთარ თანამოქალაქეებს.



მაგრამ მე მჯერა და ვიცი, რომ პოლიციელების აბსოლუტური უმრავლესობა ღირსეული ადამიანია. მათ უკანონობა არ ჩაუდენიათ, ბევრ მათგანს საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად სხვისი სიცოცხლე გადაურჩენია. ისინი საკუთარ სამშობლოსა და ხალხს ემსახურებიან.

ამ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ არასაიმედოობის გამო პოლიციის 200-მდე თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვეს.

მე ვპირდები ჩვენს პოლიციელებს, განსაკუთრებით მათ, ვინც პოლიტიკური ნიშნით დაითხოვეს: ჩვენი გამარჯვების შემდეგ ისინი აუცილებლად დაუბრუნდებიან თავიანთ სამსახურს; პოლიციელის საიმედოობა აღარასოდეს განისაზღვრება ერთი რომელიმე ჯგუფის ერთგულებით, მათ აღარავინ დაავალებს უკანონო ბრძანებების შესრულებას. პოლიცია კვლავ ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ჩადგება და ამით დაიბრუნებს ნდობასა და პატივისცემას! ამის სიტყვას მე გაძლევთ!

დღეს პროკურატურაც და სასამართლოც ხელისუფლების რეპრესიული მანქანის ნაწილია. პროკურატურა მმართველი ჯგუფის დაკვეთის შემსრულებელია, ხოლო სასამართლო პროკურატურის დანამატად არის ქცეული.

ჩვენ გავათავისუფლებთ პოლიტიკური დაკვეთების შესრულებისგან პროკურატურასაც და სასამართლოსაც და ამით ქვეყანაში სამართლიანობას დავამკვიდრებთ. ამის პირობას მე გაძლევთ!

ჩვენ შევქმნით სამართლიან სახელმწიფოს, რომლის მთავარი ღირებულება ადამიანი იქნება!

არავისთვისაა უცხო, რომ დღეს ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ჯანმრთელობის დაცვის ელემენტარული პირობებიც არ არსებობს, ისინი სახელმწიფოსაგან მიტოვებული არიან.

უამრავი ჩვენი თანამოქალაქე გალატაკდა და უსახლკაროდ დარჩა მკურნალობისთვის გაწეული კატასტროფული ხარჯების გამო. ასეთი ადამიანების რიცხვი სულ უფრო იზრდება, 21-ე საუკუნეში ადამიანები უექიმობისა და უწამლობის გამო იღუპებიან. ჩვენში წამლის ფასი ევროპულს უტოლდება და ხშირად აღემატება კიდეც მას, თუმცა წამლების უმეტესობა სრულიად უხარისხოა და განკურნებისთვის გამოუსადეგარი. ამის გამო, ჩვენი მოსახლეობა სასოწარკვეთაშია ჩავარდნილი.

ჩვენ გპირდებით, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტი გახდება.

სახელმწიფო აიღებს ვალდებულებას და იზრუნებს საქართველოს თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობაზე!

„ქართულ ოცნებას" უკვე შემუშავებული აქვს ჯანდაცვის კანონპროექტი, რომელშიც ზედმიწევნითაა განსაზღვრული და ასახული ყველაფერი, რასაც ჩვენ წინასაარჩევნოდ ვპირდებით მოსახლეობას. თუ ხელისუფლება აცხადებს, რომ ყოველ მეორე მოქალაქეს ექნება სამედიცინო დაზღვევა, და ჩვენ კარგად ვიცით მათი დაპირების ფასი, ჩვენი დევიზია უფასო ჯანდაცვა ყველას! ჩვენი ქვეყნის უკლებლივ ყველა მაცხოვრებელს ექნება სამედიცინო დაზღვევის უფრო ყოვლისმომცველი პაკეტი, ვიდრე ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული.

და ეს ყველაფერი არის დეტალურად დაანგარიშებული, კარგად გათვლილი და გააზრებული.

ჩვენ შევამცირებთ გაუმართლებლად მაღალ კომუნალურ გადასახადებს, პენსია არანაკლები იქნება, ვიდრე საარსებო მინიმუმია. თავად საარსებო მინიმუმის ოდენობაც გადაიხედება, შეიცვლება და რეალურ ციფრს მიუახლოვდება.

ასეთია ჩვენი განაცხადი და ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის, ამაში ყველანი დარწმუნდებით, როდესაც ბლოკი „ივანიშვილი-ქართული ოცნება" გაიმარჯვებს საპარლამენტო არჩევნებში და მოვა ხელისუფლებაში.

ჩვენ ყველა დანაპირებს შევასრულებთ, ამის სიტყვას მე გაძლევთ!

საზოგადოება ღელავს, ხალხი შეშფოთებულია იმ უკანონო მოქმედებების გამო, რომელსაც სააკაშვილი და მისი უსიტყვოდ მორჩილი სტრუქტურები ახორციელებენ პირადად ჩემ, და ჩემი გუნდის მიმართ.

სააკაშვილს ამ საქმეში ჩართული ჰყავს ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი, მათ შორის სასამართლოც, და აიძულებს მათ უკანონო, საღ აზრს მოკლებული, უგუნური გადაწყვეტილებების მიღებას.

სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ხალხი აღშფოთებამ ქუჩაში გამოიყვანოს, მაგრამ ჩვენ არ ავყვებით მას, ჩვენ დაწყებულ ბრძოლას ბოლომდე მივიყვანთ და არჩევნებით გავიმარჯვებთ!

ჩვენ არ გადავუხვევთ ამ გზას, კანონიერების გზას და მთელ მსოფლიოს დავანახებთ, რომ ცივილიზებული ერი ვართ, რომლისთვისაც დემოკრატიული ღირებულებები თავსმოხვეული კი არ არის, არამედ მისი მოთხოვნილებაა.

ხალხო, არ არსებობს წინააღმდეგობა, რომელიც მე შემაჩერებს, ჩვენ შეგვაჩერებს! რადგან ერთად ვართ, ჩვენ ვერავინ გვაჯობებს. არაფერი გამოუვათ, სიტყვას გაძლევთ! მე სიტყვის გატეხა არ მჩვევია!

27 მაისს ჩვენ თბილისით დავიწყეთ. პროცესებმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო! შეუძლებელია პროცესების შეჩერება, მით უფრო, ამ პროცესების შემობრუნება. ხელისუფლებამ რაც არ უნდა დაგეგმოს, რაც არ უნდა მოიმოქმედოს, ეს ბრძოლა აუცილებლად ბოლომდე მივა და ჩვენი გამარჯვებით დასრულდება!

ჩვენ ერთად ვიბრძოლებთ და ერთად დგომით აუცილებლად მივაღწევთ წარმატებებს! მე გპირდებით, რომ ამ ბრძოლაში ბოლომდე ვიდგები თქვენ გვერდით, ჩვენ ერთმანეთის გვერდით ვიდგებით, ვიდგებით გამარჯვებამდე!

ჩვენ გვწამს და მტკიცედ გვჯერა, რომ გავიმარჯვებთ არჩევნებში, ქართველი ხალხი გაიმარჯვებს, საქართველო გაიმარჯვებს, ჩვენ ერთად შევქმნით უკეთეს მომავალს და ერთად ავისრულებთ ქართულ ოცნებას!

1 ივლისი, მცხეთა

იმ დღეს მცხეთაში



# „ნაციონალებს დედა აღარ ჰყავს“

**მცხეთაში „ქართული ოცნების“ ორგანიზებით გამართული აქცია წვიმას გადაურჩა. იქ თბილისიდან მოსალოდნელთან შედარებით ნაკლები ხალხი იყო ჩასული — ბებრის ციხის ქვეშ, თეატრონის ტერიტორიაზე ძირითადად მცხეთა-მთიანეთის მცხოვრებლები იდგნენ. ერთ-ერთი მათგანი, ახალგაზრდა კაცი განათების ბოძზე აძვრა და იქიდან ჩამოსულს, როცა ჰკითხეს, დაახლოებით რამდენი ადამიანია შეკრებილიო, პასუხად მხოლოდ ეს თქვა — „მიშას დედა აღარ ჰყავს!“**

აქცია შვიდ საათზე იყო დანიშნული და **for.ge** იქ ორმოცი წუთით ადრე მივიდა. „ქართული ოცნების“ სცენის წინ უამრავი ადამიანი დაგვხვდა. ბებრის ციხის გვერდიდან და მეორე მხრიდან ძოლგებით მომარაგებული ხალხი უწყვეტ ნაკადად მოდიოდა. მათ შორის იყვნენ როგორც მოხუცები, ისე ახალგაზრდები, ბავშვები, შუახნის ადამიანები. პატრიოტული სიმღერები იყო ჩართული, ისევე, როგორც ოზურგეთში, ქუთაისსა და თბილისში გამართულ აქციებზე. ძალიან ბევრი სასულიერო პირი დავინახეთ. მათ შორის იყო მამა თეოდორე გიგნაძე.

სცენიდან დაახლოებით 300 მეტრის მოშორებით საპატრულო პოლიციის ერთადერთი მანქანა იდგა, შიგნით ორი პოლიციელი იჯდა, მინები ჩაწეული ჰქონდათ. ჯერ პატრიოტულ სიმღერებს და შემდეგ ივანიშვილს უსმენდნენ. მანქანიდან არ გადმოსულან.

აქციაზე „ქართული ოცნების“ და ხუთჯვრიან დროშებთან ერთად ნატოს და ევროკავშირის დროშები ფრიალებდა. ლოზუნგები იგივე იყო, რაც აქამდე გამართულ აქციებზე. „ქართული ოცნების“ აქტივისტები თავიანთი ორგანიზაციის მიერ გამოცემულ გაზეთებს არიგებდნენ. აქციის მონაწილეებს საწვიმარებიც ჩამოურიგეს, მაგრამ მისი გამოყენება არავის დასჭირვებია — საკმაოდ გრილოდა, მაგრამ წვიმა არ წამოსულა.

ბიძინა ივანიშვილი თეატრონის ტერიტორიაზე ბებრის ციხის მხრიდან მოვიდა. ხალხი ტაშით შეეგება. ივანიშვილმა სიტყვით გამოსვლისას მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონის ამოქმედების პირობა დადო, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილებს კი საკუთარ სახლებში დაბრუნებამდე ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნას დაჰპირდა. მან თქვა ისიც, რომ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ პენსიები გაიზრდება, ხოლო კომუნალური გადასახადები შემცირდება. მისი სიტყვიდან გავიგეთ, რომ 14 ივლისს ფშავში ჩავა და ვაჟაობას დაესწრება.

აქცია ზუსტად 45 წუთში დასრულდა და შემდეგ კონცერტი დაიწყო. ჯერ ბერა ივანიშვილმა იმღერა, შემდეგ “ქართული ხმების“ პირველმა თაობამ ჯანსუღ და მამუკა ჩარკვიანის „თავისუფლება“ შეასრულა.

აქციის მონაწილეებს შორის **for.ge**-მ ნახა და დაინახა: ლევან ყიფიანი, მურმან დუმბაძე, ავთო ბერიძე, ნანა კაკაბაძე, მედიაკავშირ „ობიექტივის“ წევრები წარწერებიანი მაისურებით „ობიექტივი“, თემო გოცაძე, თამაზ ჯოლოგუა, გელა დოლიძე, კოტე ჯანდიერი, სოზარ სუბარი, ავთო არაბული, მამუკა გიორგაძის „სახალხო პარტიის“ წევრები, ჯაბა ჯიშკარიანი, უცნობი, იგივე გია გაჩეჩილაძე, ზურაბ ტყემალაძე, ვიქტორ დოლიძე, გია ცაგარეიშვილი, დათო ონოფრიშვილი, ია მეტრეველი, თამაზ გველესიანი, გია ყარყარაშვილი, ავთო იმნაძე, ნუგზარ ნაჭყებია, გია კობახიძე, დიმა ჯაიანი, სოსო ჯაჭვლიანი, ლუკა კურტანიძე, არჩილ კბილაშვილი.

ოქტომბერში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში მცხეთა- მთიანეთში „ქართული ოცნებიდან“ კენჭს იყრიან: მცხეთაში ექიმი დიმიტრი ხუნდაძე, თიანეთში ზაქარია ქუცნაშვილი, დუშეთში ირაკლი ტრიპოლსკი და ყაზბეგში ექიმი ილია წიკლაური. „ქართული ოცნების“ შემდეგი აქცია კი 15 ივლისს გორში გაიმართება.

**ნინო მიქიაშვილი**

არჩევნების წინ

# ხალხი ხელისუფლებას აღარ ხვდება

**გაქვს ახალი იდეა, რომელიც თბილისს უფრო უკეთეს ქალაქად აქცევს? გინდა, შენი იდეა უშუალოდ მე განვიხილო? მაშინ ნუ დაიზარებ და დღესვე დაარეგისტრირე შენი იდეა აქ www.chemitbilisi.com**

***ნაბიჯი №1: შექმენი შენი პეტიცია აქ www.chemitbilisi.com***

***ნაბიჯი №2: იაქტიურე ონლაინ და მოიპოვე ჩვენი თანამოქალაქეების მხარდაჭერა***

***ნაბიჯი №3: შენს წარმატებულ პეტიციას ჩვენ, თბილისის მერია, რეალობად ვაქცევთ!***

***გისურვებ წარმატებას!***

ასეთი ინფორმაცია დევს თბილისის მერის გიგი უგულავას facebook-ის ოფიციალურ გვერდზე. ამდენად, უგულავა მოსახლეობას ქალაქის მართვაში მონაწილეობას სთავაზობს. აქვეა განმარტებაც, თუკი შენს იდეას ამისთვის სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდზე განათავსებ და რაც შეიძლება მეტ **like**-ბს დააგროვებ, ქალაქის ხელმძღვანელობა მას განიხილავს და თუ საჭიროდ ჩათვლის, რეალობად აქცევს.

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი იდეები გიგი უგულავას 2010 წ. თვითმმართველობის არჩევნების წინაც აწუხებდა. მაშინ ნაციონალების აქტივისტები, რომლებიც მერიის სოციალური სამსახურის მუშაკებად გვეცნობოდნენ, კარდაკარ დადიოდნენ სპეციალურად შედგენილი კითხვარებით. კითხვარი იმგვარად იყო შედგენილი, რომ მოქალაქეს ეძლეოდა საშუალება თბილისის მერისთვის მიეცა რჩევა, რომელი სფეროსთვის უფრო მეტი ყურადღება მიექცია, რა უნდა გაეკეთებინა კონკრეტულ დარგში და ა.შ. ალბათ, ბევრ თქვენგანს ამგვარი კითხვარი შევსებული აქვს, მაგრამ სავარაუდოდ თავისი იდეის თბილისის მერიის მიერ განხორციელებით ბევრი ვერ დაიკვეხნის. ეს დაპირებები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ყველას მიავიწყდა.

იმედი ვიქონიოთ, რომ უგულავას მიერ წარმოდგენილი ახალი პროექტი მაინც იმუშავებს, თუმცა საქართველოს ხელისუფლების ბუნებას თუ გავითვალისწინებთ, რომელსაც ხალხი მხოლოდ არჩევნების წინ, ისიც რამდენიმე თვით ახსენდება, ხოლო შემდეგ თავისი დანაპირებიდან არაფრის შესრულება სურს, ალბათ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს პროექტიც ისევე მიეცემა მივიწყებას, როგორც ორი წლის წინანდელი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ხალხს დაანახონ, რა კარგები და ადამიანებზე მზრუნველები არიან. სამეგრელოში წყალდიდობის გამო პრეზიდენტმა სააკაშვილმა ბაქოში ვიზიტი შეწყვიტა და მუხლებამდე წყალშიც გაიარა, რათა ყველასთვის ეჩვენებინა, როგორ გულთან ახლოს მიიტანა საკუთარი ხალხის გასაჭირი. ალბათ, ეს იმ სკანდალის შედეგი იყო, როდესაც ერთი თვის წინათ თბილისში მოსულმა ძლიერმა წვიმამ წყალდიდობა გამოიწვია და ხუთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, პრეზიდენტი კი მეორე დღეს მილანში „შოპინგზე“ წავიდა.

ახლა კი სიტუაცია შეიცვალა, მაგრამ შეიცვალა ხალხის დამოკიდებულებაც საქართველოს ხელისუფლების და ოპოზიციის მიმართ. თუკი ადრე ნაციონალების მიერ გამართულ შეხვედრებზე ადამიანები, მართალია მათი ნების საწინააღმდეგოდ, მაგრამ მაინც მიჰყავდათ, ახლა როგორც ჩანს, უკვე ამასაც ველარ ახერხებენ.

თუკი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინათ „ნაციონალებმა“ მოსახლეობის მოთაფლვა მოახერხეს, ახლა, როგორც ჩანს, ეს აღარ ჭრის, რადგან მაშინდელი და ახლანდელი ოპოზიციური სპექტრი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. საზოგადოება მიხვდა, რომ ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენით, ხელისუფლების რეალური ალტერნატივა გაჩნდა და შედეგებაც არ დააყოვნა.

**For.ge**-სთვის ცნობილი გახდა, რომ ორი დღის წინ თემქის დასახლების მეათე კვარტალში მდებარე სტადიონთან „ნაციონალური მოძრაობის“ ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი მერაბ სამადაშვილი მოსახლეობასთან შესახვედრად მივიდა, მაგრამ მის დასახვედრად არავინ გავიდა. ადგილობრივმა მცხოვრებმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, **For.ge**-სთან საუბარში განაცხადა, რომ სიტუაცია იმდენად რთული იყო, სამადაშვილის დასახვედრად იქვე მდებარე საბავშვო ბაღიდან სასწრაფოდ გამოიყვანეს ბაღის თანამშრომლები, ძიძები, აღმზრდელები და ა.შ. მაგრამ როგორც ჩანს, საკმარისი არც ეს აღმოჩნდა და სამადაშვილის ერთ-ერთმა თანმხლებმა პირმა მობილური ტელეფონით რეკვა დაიწყო და ვილაცებს ავალებდა, ხალხის ადგილზე მიყვანას.



**„როდესაც სამადაშვილი მოვიდა და ადგილზე საბავშვო ბაღის რამდენიმე აღმზრდელის გარდა არავინ დახვდა, მისმა თანმხლებმა პირმა სასწრაფოდ დაიწყო რეკვა და ვილაცებს ეუბნებოდა — რას მიშვებით, სასწრაფოდ მოიყვანეთ ხალხი, როგორც გინდათო“,** — აღნიშნავს თემქის მცხოვრები **For.ge**-სთან საუბარში.

მისი თქმით, რამდენიმე წუთში ადგილზე მართლაც მივიდა დაახლოებით 25-30 ადამიანი და როგორც ჩანს ჩაითვალა, რომ მოსახელობასთან შეხვედრა შედგა.

დაახლოებით ანალოგიური სიტუაცია ყოფილა რამდენიმე დღით ადრე, როდესაც მერაბ სამადაშვილი ნაძალადევის მოსახლეობასთან შესახვედრად მისულა. როგორც **for.ge**-ს ნაძალადევიდან შეატყობინეს, სამადაშვილთან შესახვედრად მხოლოდ ის ადამიანები მისულან, ვინც ამ უბანში ნარკოტიკებზე დამოკიდებულებით არიან ცნობილები. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაზე ოპოზიციურად განწყობილი ერთი პიროვნებაც მისულა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ უჭერს მხარს. ამ ადამიანს უთქვამს, — **„მიმიშვით ერთი მაგ კაცთან, უნდა ვკითხო, 12 წელი რომ ზის პარლამენტში, რა გააკეთა ამ წლების განმავლობაში რაიონისთვის და ახლა კიდევ რომ უნდა მაჟორიტარ დეპუტატად მოგვევლინოს, ახლა ვითომ რამეს გააკეთებს“?** მაგრამ ეს ადამიანი მერაბ სამადაშვილის თანმხლებ პირებს, მაჟორიტარობის კანდიდატამდე არ მიუშვიათ და ეს შეხვედრაც ასე ბედნიერად დასრულდა.

შეგახსენებთ, რომ მერაბ სამადაშვილი უკვე მესამე მოწვევის პარლამენტის დეპუტატია და სამივე შემთხვევაში მან საპარლამენტო მანდატი ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობით მიიღო. ახლა კი იგი კვლავ ნაძალადევის მაჟორიტარად არის „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დასახელებული. ამდენად, სამადაშვილი უკვე 12 წელია, დეპუტატობს და კიდევ ოთხი წლით აპირებს პარლამენტში თავისი ყოფნის ვადის გახანგრძლივებას.

**ნინო ჟღენტი**

ინფორმაცია

## დევნილებმა საპროტესტო აქცია გამართეს

**აფხაზეთიდან დევნილებმა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გამართეს და საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება ითხოვეს.**

**როგორც დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის წარმომადგენელმა მზია კორსანტიამ განაცხადა, თავად და სხვა რამდენიმე ოჯახი ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, სადაც გასულ წელს მივიდნენ ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლები და, უკეთესი საცხოვრებელი ფართის შეთავაზების მოტივით, ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს.**

**კორსანტიას განცხადებით, ენდენ ლტოლვილთა სამინისტროს, დატოვეს ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორია და ნაქირავებში გადავიდნენ, თუმცა მას შემდეგ ლტოლვილთა სამინისტროს მათთვის ყურადღება აღარ მიუქცევია.**

**აქციის მონაწილე დევნილების თქმით, ლტოლვილთა სამინისტროს არანაირი ყურადღება არ გამოუჩენია მათ მიმართ და კობა სუბელიანმა დააკმაყოფილა მხოლოდ ის დევნილები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეები არიან.**

**— ჩემი თვალით მაქვს ნანახი, რა პირობები შეუქმნეს იმ დევნილებს, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეები არიან. ისინი ძირითადად ზღვისპირეთში ჩაასახლეს, ხოლო ჩვენ ფოცხოეწერსა და ისეთ ადგილებში გვპირდებიან საცხოვრებელ სახლებს, სადაც არანაირი პირობა არ არსებობს და შიმშილით სიკვდილი გველოდება, — განაცხადა ერთ-ერთმა დევნილმა.**

ინტერპრესი

ექსპერტების მოსაზრებები

# დააწინაურეს თუ დააქვეითეს ვანო მერაბიშვილი?

**საქართველოს პრეზიდენტმა ყველასთვის მოულოდნელად ქვეყნის პრემიერ-მინისტრად ივანე მერაბიშვილი დანიშნა. მიხეილ სააკაშვილის მიერ „სახელმწიფოს ხერხემლად“ წოდებულმა ვანო მერაბიშვილმა სწრაფად როტაციულ მინისტრთა კაბინეტში თანამდებობის შენარჩუნება ყველაზე დიდხანს შეძლო. ის შინაგან საქმეთა სამინისტროს 2004 წლის 31 დეკემბრიდან ხელმძღვანელობდა. მერაბიშვილს სახელს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და პოპულარული (მათ შორის, საქართველოს საზღვრებს გარეთ) პოლიციის რეფორმა უკავშირდება. 8 წლის განმავლობაში მერაბიშვილის თანამდებობიდან შესაძლო გათავისუფლების საკითხი ყველაზე მწვავედ დღის წესრიგში 2006 წელს, სანდრო გირგვლიანის საქმის გამო დადგა, თუმცა ოპოზიციის მოთხოვნა მინისტრის პასუხისმგებლობის შესახებ დაკმაყოფილებულ არ იქნა. მიხეილ სააკაშვილმა მერაბიშვილის გაპრემიერება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე 3-4 თვით ადრე გადაწყვიტა.**

საზოგადოების ერთი ნაწილის აზრით, ძალოვანი მინისტრისთვის პრემიერის თანამდებობა, რომელიც აქამდე, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებთან ასოცირდება, დაქვეითებაა, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ვანო მერაბიშვილი, წინამორბედი პრემიერ-მინისტრებისგან განსხვავებით, მთავრობის ნამდვილი ლიდერი იქნება. თუმცა ყველა თანხმდება, რომ ეს გადაწყვეტილება ხელისუფლების წინასაარჩევნო სვლაა, რომლის შედეგების დანახვას, ალბათ, ოქტომბრის ბოლოს შევძლებთ. თუმცა სამთავრობო პროგრამა, რომელსაც ვანო მერაბიშვილი ხვალ წარადგენს, წლებზე გათვლილი იქნება.

**„ჩემთვის ეს ახალი თანამდებობა ძალიან დიდი პატივი და უდიდესი პასუხისმგებლობაა. ჩემი მთავარი მიზანი იქნება ძალიან კონკრეტული — მეტი სარგებელი ხალხს! საქართველოში იმის დრო დადგა, რომ ჩვენი განვითარების, მოდერნიზაციისა და მიღწევების შედეგი თითოეულმა ქართველმა უშუალოდ იგრძნოს. მე ვაპირებ ორშაბათსვე წარმოვადგინო გეგმა, რომელშიც ზუსტად და თანამიმდევრობით იქნება გაწერილი, თუ რას გავაკეთებთ ჩვენ დღეს, რას გავაკეთებთ ხვალ, მომავალ წელს... წლების მიხედვით გაწერილ გეგმაში გათვალისწინებული იქნება სამი მთავარი პრინციპი: დასაქმება, სოფლის განვითარება და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა. ჩვენი გეგმა სწორედ ამ მთავარ პრინციპებს დაეყრდნობა“,** — განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

ფილოსოფოს **ზაზა შათირიშვილის** აზრით, ვანო მერაბიშვილისთვის სოფლის მეურნეობის ჩაბარება იგივეა, რომ იგი კულტურის მინისტრად დაენიშნათ.

**„ამას შევაფასებდი, როგორც დაქვეითებას. საქართველო პოლიციური სახელმწიფოა და შესაბამისად, ყველაზე მნიშვნელოვანი ასეთ სახელმწიფოში შინაგან საქმეთა მინისტრია. ვფიქრობ, პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება განპირობებული იყო იმით, რომ მიხეილ სააკაშვილი ვანო მერაბიშვილს საკმარისად არ ენდობოდა. საერთოდ, სულ უფრო მცირდება იმ ადამიანების რიცხვი, რომლებსაც სააკაშვილი ენდობა. ამასთან, საყურადღებოა, რომ ეს ძალიან ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილება იყო“,** — განუცხადა „პირველს“ შათირიშვილმა.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ შეიძლება, შს მინისტრად დაინიშნოს, შათირიშვილის აზრით, ამ თვალსაზრისით, მიხეილ სააკაშვილისთვის სანდო, ამჟამინდელი თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაიაა.

ექსპერტი **გიორგი ვოლსკი** „პირველთან“ საუბარში აცხადებს, რომ „ყველაფერს ვანო მერაბიშვილის შემცვლელის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება უპასუხებს“.

**„თუკი დაწინაურებაა და შესაძლოა, ასეც იყოს, გამოდის მეორე პოლიციური სტრუქტურა კეთდება, ახლა უკვე — სამეურნეო სფეროში. თუკი იმას გავითვალისწინებთ, რომ მოკლე დროში, ანუ არჩევნებამდე, გაპარტახებული სოფლის მეურნეობის აღორძინება ვერ მოესწრება, შეიძლება, დავუშვათ, რომ ეს გადანაცვლებაც საზოგადოების მორიგი „დაბოლების“ მიზანს ემსახურება. ამ მიზნისათვის კი ეს მანიპულაცია, ისევე როგორც დასაქმების საკითხთა სახელმწიფო მინისტრის ინსტიტუტის შემოღება, გამართლებულია. თუ მიხეილ სააკაშვილს ქვეყნისთვის სიკეთე უნდა და ამ სიკეთეს მერაბიშვილის გაპრემიერებაში ხედავს, გაეკეთებინა ეს არჩევნების შემდეგ, იგი ხომ გამარჯვებაში დარწმუნებულია?! მივდივართ დასკვნამდე, რომ პრეზიდენტი რეპრესიული სტრუქტურის გაძლიერებას გეგმავს, ვინაიდან ვითარება ძალიან მძიმეა, გამარჯვების შანსი კი — ძალიან მცირე, ხოლო მეტ-ნაკლებად კალაპოტში ჩამდგარი პოლიცია ამ მიზნისათვის არ გამოადგება“,** — განაცხადა ვოლსკიმ.



სამხედრო ექსპერტის გიორგი თავდგირიძის აზრით, ვანო მერაბიშვილი, რომელიც აქამდე მხოლოდ ერთ კონკრეტულ სტრუქტურას ხელმძღვანელობდა, ახლა პოლიტიკური ლიდერი ხდება, რაც პოლიტიკური ცხოვრების დონის ამაღლებას და შესაბამისად, ქვეყანას დადებითად წაადგება.

**„უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ეს „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან სერიოზული სვლაა, რომელმაც ქართულ პოლიტიკაში სიახლე შემოიტანა. ცხადია, ახალი მოთამაშეები გამოჩნდებიან. ვფიქრობ, მერაბიშვილის გაპრემიერება დადებითი მომენტია, რადგან ისეთი ფიგურები, რომლებიც პოლიტიკას აკეთებენ, იშვიათობაა. იგი ავტონომიურ პოლიტიკურ თამაშს ჩაუდგება სათავეში. პოლიტიკური სიმპათიები ან ანტიპათიები სხვა საკითხია, მაგრამ თუ რომელიმე ბანაკის წევრი არ ხარ და ქართულ პოლიტიკას გულშემატკივრობ, უნდა ითქვას, რომ ეს ქართულ პოლიტიკას წაადგება, რადგან რაც მეტი ძლიერი ჭიდილი იქნება, ქართული პოლიტიური კულტურის დონე უფრო მალე დაიხვეწება“,** — განაცხადა თავდგირიძემ და დასძინა, რომ მერაბიშვილის შს მინისტრობიდან პრემიერის პოსტზე გადანაცვლება მხოლოდ ბიუროკრატიული, ჩინოვნიკური საფეხურების გავლა არ არის, ის პოლიტიკური ლიდერი ხდება, რაც ნამდვილად დაწინაურებაა.

**„ვფიქრობ, ის მიდგომა, რომ პრემიერ-მინისტრი ძალოვან ბლოკს ვერ აკონტროლებს, არასწორია. მართალია, აქამდე პრემიერ-მინისტრი, ძირითადად, ეკონომიკურ ბლოკს ხელმძღვანელობდა, პრეზიდენტი კი — ძალოვან მინისტრებს. როგორ იქნება ამიერიდან, ეს მომავლის თემაა. ახლა მთავარი პრიორიტეტია, უახლოეს ხანში გადაიდგას ისეთი ნაბიჯები, რომ მოქალაქეებს გაუჩნდეთ იმედი, რომ ეკონომიკა ისეთი მიმართულებით ვითარდება, რომ მისი შედეგები არა მხოლოდ ციფრებში, არამედ კონკრეტულ მოქალაქეებზე აისახება. ძალოვანი მიმართულება ასე თუ ისე დალაგებულია და მასთან დაკავშირებული საკითხები მოსახლეობის მხრიდან ყოველდღიურად არ შეიგრძნობა. ასე რომ, სერიოზული პოლიტიკაა გასატარებელი ეკონომიკური მიმართულებით და რაც შეეხება ძალოვანი მინისტრების დამორჩილებას, რატომაც არა?! ვანო მერაბიშვილი, ფაქტობრივად, პოლიტიკური გუნდის №1 ფიგურად დასახელდა და მაშასადამე, ძალოვნებზეც ექნება გავლენა“,** — აცხადებს თავდგირიძე, რომლის აზრითაც, **„ვანო მერაბიშვილი, როგორც პრემიერ-მინისტრი, არა მარტო გადაწყვეტილებების აღმსრულებელი, არამედ მათი მიმღები და მთავრობის ლიდერი იქნება“.**

ცნობისთვის, მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით პრეზიდენტსა და ახალ პრემიერ-მინისტრს შორის კონსულტაციები დასრულებულია და მთავრობის განახლებული შემადგენლობა პარლამენტს ხვალ წარედგინება. თავის მხრივ, პარლამენტს მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებისთვის ერთკვირიანი ვადა აქვს.

**ნინო ჩიჩუა,**
**საინფორმაციო სააგენტო „პირველი“**

ინფორმაცია

## ნაცებს მოსახლეობის აღწერა გულზე არ ეხატებათ

**როგორც „ქართული ოცნების“ ოფისში, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კოალიციის მაჟორიტარობის კანდიდატმა ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა, ადგილი აქვს „კარდაკარის“ კოორდინატორებისთვის საარჩევნო უბნის პასპორტების ჩამორთმევასა და დახევას. „პროექტის მიმდინარეობიდან ერთი კვირის თავზე, დარღვევების სახით გამოკვეთილია შემდეგი ტიპოლოგია. პირველი — ადგილი აქვს მუქარებს, რაც „კარდაკარის“ ჩატარების შეწყვეტაში გამოიხატება და მეორე — ხდება ჩვენი წარმომადგენლებისთვის საარჩევნო უბნის პასპორტების ჩამორთმევა და დახევა, — აღნიშნა ქუცნაშვილმა. მისივე ინფორმაციით, ამ კუთხით განსაკუთრებით ადგილობრივი გამგეობების წარმომადგენლები აქტიურობენ, რის კონტექსტშიც, ქუცნაშვილმა მათ „კარდაკარის“ კოორდინატორების შევიწროების შეწყვეტისკენ მოუწოდა. — მინდა გავაფრთხილო ყველა გამგებელი თუ პოლიციელი, ჩვენი წარმომადგენლებისთვის საარჩევნო უბნის პასპორტების წართმევასა და დახევას აზრი არ აქვს, იქიდან გამომდინარე, რომ მათ ხელახლა ვუბეჭდავთ ახალ პასპორტებს, ამიტომ ნუ დაიხარჯებით, — აღნიშნა ქუცნაშვილმა**

## ალასანიამ სტიქიით დაზარალებული სოფლები მოინახულა

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ალასანიამ სამეგრელოში სტიქიით დაზარალებული სოფლები მოინახულა. ამის შესახებ პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ პრესსამსახურიდან იტყობინებიან. როგორც ირაკლი ალასანია აცხადებს, სტიქიის შედეგად გასაკეთებელია ხიდი და სასწრაფოდ ჩასატარებელია გაწმენდითი სამუშაოები.**

**— დიდი იმედი მაქვს, რომ ძალიან მალე ეს სამუშაოები ჩატარდება. ჩვენი აქტივი მობილიზებულია და თუ დაჭირდა ადგილობრივ მოსახლეობას, მაქსიმალურად გვერდით დავუდგებით, — აცხადებს ალასანია.**

**მისივე თქმით, მთავარია, რომ ფული გამოიყოს და გასაწმენდი და გასამაგრებელი სამუშაოები ჩატარდეს.**

**ინტერპრესი**

სარედაქციო ფოსტიდან

# სააკაშვილის ამორძალები
## აბა ესენი არიან, თუ არიან

**ნამდვილად დროული იყო ამას წინათ თქვენს გაზეთში გადამდგარი პოლკოვნიკის, ისტორიკოს დიმიტრი იასეშვილის წერილის გამოქვეყნება, რაც არა მარტო მხილებაა ისევ და ისევ ერთპარტიულობის ანგარებიანად მომხრე ჩვენი ქალბატონებისა, არამედ საჭირო გაფრთხილებაც არის, რომ დროზე მოეგონ გონს და მხოლოდ თავიანთი დღევანდელი კეთილდღეობით ნუ საზღვრავენ ქვეყნის მომავალს.**

რა თქმა უნდა, სულ სხვაა, როცა მართლა რწმენა გალაპარაკებს, მაგრამ სამარცხვინოა, როცა შენ გარშემო ადამიანები სანაგვე ბუნკერებში იქექებიან, შენ კი ერთ ადგილს ულოკავ იმ ხელისუფლებას, რომელსაც თითქმის არც ერთი თავისი წინასაარჩევნო დაპირება არ შეუსრულებია და ახლა ახალი დაპირებებით ჭყიპავს მოსახლეობას. თუნდაც მარტო ის გავიხსენოთ, საქართველო სიღარიბის გარეშეო... ესე იგი, რა გამოდის სინამდვილეში? რა და, ამ უკანასკნელ წლებში ისედაც ღარიბ-ღატაკები კიდევ უფრო გაძვალტყავდნენ, ხოლო მდიდრები კი კიდევ უფრო გაფუფუნდნენ.

აი, ამ გაფუფუნებულთ იცავდა „კავკასიის“ ცხელ ხაზში, თავადაც გაფუფუნებული, სააკაშვილის ამორძალთა ლაშქრის კიდევ ორი ამორძალი, ანუ — მეომარი ქალი, რომელთაგან, როგორც თვითონ იხასიათებენ თავს, ერთი ბიზნესმენია — ქეთი გაბიანი და მეორე მხატვარია — მაია ორჯონიკიძე.

ეს ორივე ქალბატონი, მგონი, კარგად ნაცნობია ჩვენი ტელემაყურებლისთვის. ორივენი მუდამ თავ-თავიანთი მდგომარეობის სიმაღლიდან ჭიკჭიკებენ. ახლაც ასე იყო: მხატვარმა მაიამ, რომელსაც მამის გვარი რატომღაც უარყოფილი აქვს და თავის სახელოვანი დედის გვარით ვიცნობთ, სულ ბრიყვები და ხელმოცარულები ეძახა კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრებს, რომელთაც თურმე, სააკაშვილის შესიტყვებისდა მიხედვით, რუსული ფულით გადაუწყვეტიათ ქართველი ხალხის ყიდვა, რაც ამაო და სავალალო ცდაა. ზუსტად ამავე აზრისაა „ქართულ ოცნებაზე“ ბიზნესმენი ქეთიც, გაბიანზე მოგახსენებთ, რომელსაც უკვე რამდენიმე წელიწადია სამკვდრო-სასიცოცხლო ეკონომიკური ომი აქვს თავის სახელოვან მამასთან...

მე კარგად ვიცნობ სააკაშვილის ამ ორივე თავგადაკლულ ამორძალს და კიდევ ბევრი რამის თქმა შემიძლია. ხელმოცარულობაზე თუ მიდგა საქმე, ისიც ვიცი, ერთი რა მხატვარიც ბრძანდება და მეორე რა ბიზნესსაც ატრიალებს, მაგრამ ამჯერად, ალბათ, ესეც კმარა.

იმედია, სხვებიც გამოგეხმაურებიან და ასე თანდათან კიდევ უფრო შეივსება მესამე ვადისთვის მებრძოლ ნაცელთა მთავარი მოემარი ქალის ჩიორა თაქთაქიშვილის წინასაარჩევნოდ ავად გაანჩხლებულ ამორძალთა ლაშქარი.

მართლაც, ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო!..

**ამირან გაჩეჩილაძე,**
**ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.**
**ქ. გორი.**

ბრიფინგი




# „შესაძლოა, გაპრემიერებით მერაბიშვილი პოლიტიკურ პროცესებს ჩამოაშორეს“...

**„მერაბიშვილმა წინასაარჩევნო პროგრამასთან დაკავშირებით ზუსტად ის პრიორიტეტი ჩამოთვალა, რაც „ქართულ ოცნებას“ აქვს“, და რასაც ბიძინა ივანიშვილი ყოველ გამოსვლაზე აღნიშნავს. ეს არის სოფლის მეურნეობა, დასაქმება და ჯანდაცვა“,** — განაცხადა „ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ „ქართულ ოცნების“ ტრადიციული ორშაბათის ბრიფინგზე.

**„აშკარად თვალში საცემი იყო ის, რომ ახალმა პრემიერ-მინისტრმა სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ჩვენი თემები და პრიორიტეტები, რომელიც ჩვენს აქციებზე არა ერთხელ გავახმოვანეთ. არ შეიძლება ამაზე არ გაგეღიმოს და არ იფიქრო, რომ რვა წელი დასჭირდა ხელისუფლებას იმის მისახვედრად, თუ რა სჭირდება საქართველოს მთავრობას. სანამ არ უკარნახა „ქართულმა ოცნებამ“, ისინი ამას ვერ მიხვდნენ“,** — განაცხადა პრესსპიკერმა.

ამასთან ფანჯიკიძის განმარტებით, პრემიერისა და მთავრობის გადაყენება ადასტურებს, რომ ქვეყანაში სახელმწიფო კრიზისია.

„სამთავრობო ცვლილებით მოხდა იმის გასაჯაროება, რაც ჩვენ ისედაც კარგად ვიცოდით, რომ არსებობს სახელისუფლებო კრიზისი, რადგან სხვა შემთხვევაში პრემიერისა და მთავრობის გადაყენება არ ხდება“, — მისივე შეფასებით, ვანო მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე გადაყვანა ადასტურებს იმასაც, რომ ხელისუფლებამ პოლიციური სახელმწიფოს მშენებლობა გადაწყვიტა. „როგორც ჩანს, პოლიციური სახელმწიფოს მშენებლობა ჯერ ისევ ძალაში რჩება და საფრთხე იმისა, რომ „ნაციონალები“ არჩევნებში დამარცხდებიან, კიდევ უფრო რეალური გახდება...“

**„ეს დასჭირდა მაშინ, როცა არჩევნები კარზეა მომდგარი და როცა გააანალაზა, რომ არჩევნებზე „ნაციონალური მოძრაობის“ წაგების საფრთხე ისეთი რეალურია, როგორც არასდროს“,** — აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

**„არ ვიცი, მერაბიშვილი გაპრემიერებით დააწინაურეს თუ ჩამოაქვეითეს“,** — განაცხადა „ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ ტრადიციულ ბრიფინგზე.

**„გუშინ პრეზიდენტმა ახალი პრემიერი დაასახელა. ჩვენ ვიცით, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტი საქართველოში არის საპენსიო პოსტი. ამ თანამდებობაზე მყოფი ადამიანები რეალურად არაფერს აკეთებენ. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ეს არის ვანო მერაბიშვილის დაწინაურება, ან მისი ჩამოშორება პოლიტიკური პროცესებიდან. არ ვიცი, მერაბიშვილი გაპრემიერებით დააწინაურეს თუ ჩამოაქვეითეს“,** — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

„ქართული ოცნების“ კარდაკარის მონაწილეებს კახეთში გამგებლები სიებს უხევენ“, ამის შესახებ „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, კარდაკარის დაწყებიდან 1 კვირა გავიდა და მან მთელი საქართველოს მასშტაბით 65 ოლქი მოიცვა.

**„სულ მალე კარდაკარი დანარჩენ ოლქებშიც ამოქმედდება. კარდაკარის მონაწილეები ძალიან ბევრ დაბრკოლებას აწყდებიან. მათ ართმევენ და უხევენ ე.წ პასპორტებს, რომელიც მოიცავს ამომრჩეველთა სიას და კიდევ დამატებით პუნქტებს ამომრჩეველთა სხვა ფაქტობრივი მონაცემების გამოსაკვლევად. ამას აკეთებენ ძირითადად ადგილობრვი რაიონების გამგებლები. შემთხვევათა უმეტესობა კახეთში აღინუსხა, თუმცა ამ პრობლემას არ შევუშინდებით და სიების გადამოწმებას ვაგრძელებთ“,** — განაცხადა ქუცნაშვილმა.

მისივე თქმით, კარდაკარის მონაწილეები კვალიფიციურად არიან მომზადებულები.

**„ჩვენ მათთვის დავიქირავეთ კომუნიკაციების სპეციალისტი და მოვამზადეთ იმ ფსიქოლოგიურ ხერხებში, რომლის მიხედვითაც გაარკვევენ ტყუილს ამბობენ თუ მართალს მათი რესპონდენტები“,** — განაცხადა ქუცნაშვილმა.

კოალიცია „ქართული ოცნება“ მორიგ მხარდამჭერ აქციას 15 ივლისს შიდა ქართლში, კერძოდ კი, გორში გამართავს.

ამის შესახებ მცხეთაში გამართულ აქციაზე კოალიცის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა. **„15 ივლისს გორი გველოდება. ჩვენ გორში შევხდებით ერთმანეთს. ყველგან მივალთ, ყველა სოფელში. ქვეყანას ერთ მუშტად შევკრავთ და აუცილებლად გავიმარჯვებთ“,** — განაცხადა მცხეთის აქციაზე ბიძინა ივანიშვილმა.

**ნატა ნიბლაძე**

გორდიას კვანძი

**„ჩეკების გათამაშების“ გამარჯვებული ვარკეთილში მცხოვრები ჯუნა ქამუშაძეა. მან 80 თეთრის ყავა შეიძინა და ჩეკის გადამოწმებით 10 000 ლარის მფლობელი გახდა.** ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

**„მომგებიანი ჩეკის მფლობელმა ჯუნა ქამუშაძემ, კუთვნილი თანხა ლიბერთი ბანკში გაანაღდა. შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა კი მას საჩუქრები და სიმბოლური, 10 000 ლარიანი ჩეკი გადასცეს. გამარჯვებულს მოგებული 10 000 ლარი სრულად გადაეცა. შესაბამისი გადასახადი შემოსავლების სამსახურმა დაფარა“,** — ნათქვამია შემოსავლების სამსახურის განცხადებაში.

**მისივე ინფორმაციით, „ჩეკების გათამაშება“ 18 აპრილს დაიწყო და პროექტის დასრულებამდე შემოსავლების სამსახური 10 000 ლარს 13-ჯერ, ხოლო 50 000 ლარს კიდევ სამჯერ გაათამაშებს. ასევე, ყოველდღიურად თამაშდება 10, 20, 50, 100-ლარიანი თანხები. დღევანდელი მონაცემებით, გათამაშების შედეგად, უკვე 80 525-მდე გამარჯვებული გამოვლინდა. მოგებული თანხა კი მილიონ ექვსასი ათას ლარზე მეტია.**

შეგახსენებთ, როდესაც ხელისუფლებამ ჩეკების მეშვეობით დაწყებული გათამაშების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა, მაშინ ამას საზოგადოების პროტესტი მოჰყვა. განსაკუთრებით აღშფოთებულები ეკონომიკური პროფილის ექსპერტები იყვნენ, რადგან მათი აზრით, ეს ხელისუფლების მიერ მოსახლეობის დაყაჩაღების მორიგი ხერხია. აქვე აღვნიშნავთ, რომ ექსპერტებს ამ გათამაშებასთან დაკავშირებით რამდენიმე კონკრეტული პრეტენზია ჰქონდათ. კერძოდ, პირველი არის ის, რომ ნებისმიერი ლატარია ნებაყოფლობითი უნდა იყოს, ჩეკების ლატარიაში კი ყველა უნებურად მონაწილეობს, მიუხედავად იმისა, სურს ეს მას, თუ არა.

გარდა ამისა, ექსპერტების აზრით, ეს არის მეწარმეებისთვის წილში ჩაჯდომა, რადგან გათამაშებისთვის საჭირო ფონდის შესაქმნელად, ჩვენს მიერ ნაყიდ პროდუქციაში გადახდილი თანხიდან რაღაც ნაწილი ამ ფონდში უნდა შევიდეს. და ბოლოს, ყველაზე მეტ კითხვას აჩენს თავად ამ გათამაშების პროცესის გაუმჭვირვალობა და საპრიზო ფონდის წარმომავლობა, რასთან დაკავშირებითაც ხელისუფლების განმარტებები ექსპერტებს არასაკმარისად მიაჩნიათ, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტში ამ ფონდის ცალკე მუხლი არ არსებობს. ამიტომ, საიდან მოდის ეს თანხა გაურკვეველია.

ამ ყველაფრის ფონზე **for.ge**-სთვის **ცნობილი გახდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ადამიანმა ჩეკების გათამაშებაში გარკვეული თანხა მოიგო, მაგრამ მას ეს თანხა არ გაუნაღდეს. საუბარია ძირითადად 100 ლარამდე თანხებზე, ანუ მცირე მოგებებზე და როგორც წესი, ჩეკის გასანაღდებლად ბანკში მისულ ადამიანებს ეუბნებიან, რომ მათ ჩეკის ნომრის შეყვანისას შეცდომა მოუვიდათ.**

**ერთ-ერთი ასეთი ადამიანი, რომელმაც ჩეკების გათამაშებაში 20 ლარი მოიგო, მაგრამ მოგებული თანხა ვერ მიიღო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ლია სუთიძეა.** ქალბატონი ლია **for.ge**-სთან საუბარში აცხადებს, რომ **ნუცუბიძის პლატოზე ერთ-ერთ აფთიაქში მედიკამენტები შეიძინა, რასაც რა თქმა უნდა, ჩეკიც მოაყოლეს. როგორც ირკვევა, ჩეკი ლია სუთიძეს რამდენიმე დღე სახლში ისე ჰქონდა, რომ არ დაინტერესებულა, მომგებიანია თუ არა იგი. ბოლოს, როდესაც ჩეკი შეამოწმა, აღმოაჩინა, რომ მან 20 ლარი მოიგო. ქალბატონი ლია აღნიშნავს, რომ მის გასანაღდებლად რამდენიმე დღის შემდეგ მივიდა „ლიბერთი ბანკში“, სადაც მას უთხრეს, რომ ჩეკი მომგებიანი არ იყო.**

## სალარო აპარატის ჩეკების აფიორა გრძელდება




**„საინტერესოა, რომ როდესაც ეს ჩეკი ბანკის ოპერატორ გოგონას მივაწოდე და ვუთხარი, რომ ის მომგებიანი იყო, მან კომპიუტერში სპეციალური პროგრამა გახსნა და იქ დაიწყო ჩემი ჩეკის ნომრის შეყვანა, თან პარალელურად, ამ ნომერს მობილური ტელეფონითაც კრეფდა. ბოლოს გამომიცხადა, რომ ჩეკი მომგებიანი არ იყო. რა თქმა უნდა, ამაზე შევეკამათე და ვუთხარი, რომ მშვენივრად ვიცი წერა-კითხვა და არანაირი შეცდომა აქ არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რაზეც მან მითხრა, მაშინ გვერდით ბანკში შედით და იქაც გადაამოწმეთო.**

**გვერდით „ბაზისბანკის“ ფილიალია და იქაც მივიტანე ჩეკი. აღსანიშნავია, რომ ოპერატორმა გოგონამ იქაც კომპიუტერშიც შეიყვანა ჩემი ჩეკის მონაცემები და პარალელურად მობილურ ტელეფონშიც. პასუხი იქაც იგივე იყო, რომ ჩემი ჩეკი მომგებიანი არ იყო. არადა ზუსტად ვიცი, რომ კოდი სწორად მქონდა შეყვანილი და ჩეკი მომგებიანი იყო. ამიტომ მიმაჩნია, რომ მათ რაღაც სქემა აქვთ, რომლის მეშვეობითაც მოგებულ ჩეკს რომ მიუტან, ისე აკეთებენ, რომ თითქოს ჩეკი მომგებიანი არ არის. როდესაც პრეტენზია გამოვთქვი, შემოსავლების სამსახურისკენ მიმითითეს, მიდით და იქ გაარკვიეთო, მაგრამ სად უნდა ვდიო ახლა მე მაგათ, რომ ჩეკი გამინაღდონ. როგორც ჩანს, ისინი რაღაც ძირითად თანხებს დროგამოშვებით ათამაშებენ, რომ მოსახლეობაში იმის განცდა შექმნან, თითქოს ეს ლატარია მართლაც თამაშდება, ასეთი მცირე მოგებების გაცემა კი არ სურთ“,** — განაცხადა **for.ge**-სთან საუბარში ლია სუთიძემ.

**ანალოგიურ ისტორიას ყვება ადამიანი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა. იგი კატეგორიულად გამორიცხავს რაიმე შეცდომის დაშვებას ჩეკის ნომრის შეყვანის დროს და ირწმუნება, რომ ნომერი სწორად აკრიფა და ჩეკი მომგებიანი იყო, მაგრამ ბანკში არ გაუნაღდეს.**

**„როდესაც ბანკში მითხრეს, რომ ჩეკი მომგებიანი არ იყო და ამის გამო აღშფოთება გამოვთქვი, ბანკის ოპერატორმა გოგონამ თავისთვის ჩაილაპარაკა, უკვე მერამდენე შემთხვევაა და როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეო“,** — აღნიშნავს ჩვენი რესპონდენტი.

კიდევ ორი ფაქტი, რომელიც **for.ge**-სთვის გახდა ცნობილი, ერთსა და იმავე პიროვნებას შეემთხვა. ვინაობის გამხელისგან მანაც თავი შეიკავა, თუმცა მოგვიყვა, რომ მის უბანში მდებარე სურსათის მაღაზიაში სხვადასხვა დროს ორჯერ მიიღო მომგებიანი ჩეკი, ერთხელ 20 ლარის მოგებით, ხოლო მეორედ — 80-ლარიანი მოგებით, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გაუნაღდეს, მიზეზად კი ამ ჩეკის გამცემი სალარო აპარატის გაუმართაობა დაუსახელეს.

ამგვარ შესაძლებლობას შემოსავლების სამსახურში კატეგორიულად გამორიცხავენ. უწყების პრეს-სამსახურის უფროსი მაკა ფანქველაშვილი **for.ge**-სთან საუბარში აცხადებს, რომ ამგვარი გაუგებრობის შემთხვევაში მოქალაქემ შემოსავლების სამსახურს უნდა მიმართოს, თუმცა იგი არ გამორიცხავს, რომ გარკვეული შეცდომები სისტემაში გამონაკლისის სახით შეიძლება მოხდეს.

**„შეიძლება მოხდეს ისე, რომ ადამიანმა ერთი რომელიმე ციფრი არასწორად შეიყვანა და ის მოგებული ჩეკის ნომერს დაემთხვეს. გამონაკლისის სახით შეიძლება ათასში ერთი ასეთი შემთხვევა მოხდეს, მაგრამ ის, რომ სალარო აპარატი არ იყო გამართული, ასეთი რამ უბრალოდ შეუძლებელია“,** — ამბობს ფანქველაშვილი **for.ge**-სთან საუბარში.

დასკვნების გაკეთება ჩვენი მკითხველისთვის მიგვინდვია.

**ნინო ქლენტი**

ინფორმაცია

### ვანომ გლდანიდან დაიწყო

**— ჩვენი მთავრობის მთავარი გამოწვევა უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა იქნება, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ვანო მერაბიშვილმა გუშინ, გლდანში, მშენებარე პროფესიულ სასწავლებელთან განაცხადა.**

**მისივე თქმით, ის პირადად აპირებს შეებრძოლოს საქართველოში უმუშევრობას ისე, „როგორც ებრძოდა კრიმინალს და კორუფციას წლების განმავლობაში“. რაც შეეხება მთავრობის სამოქმედო გეგმას, იგი პარლამენტისთვის ვანო მერაბიშვილს გუშინ საღამოს უნდა წარედგინა.**

**მისი თქმით, გეგმა არის კონკრეტული და მასში გაწერილია, თუ რა გაკეთდება მომავალი ოთხი წლის განმავლობაში. საინტერესოა, როგორ მოასწრო მერაბიშვილმა ერთ დღეში ოთხწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენა?**

ინტერპრესი

## მშენებლობა

# „გაამწვანე შენი ქვეყანა“ – მოჭრილი მრავალწლიანი ნარგავები

**28 ივნისს იპოდრომზე თბილისის მერიის წარმომადგენლებმა ხეების მასიური ჭრა დაიწყეს, რათა ამ ადგილას საავტომობილო გზა გაიყვანონ. ამის შესახებ ინფორმაციას „ეკოლოგიური სამართლის ცენტრი“ ავრცელებს. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ ხეების ჭრა ღამით დაიწყეს და ეს ქმედება არც ტერიტორიის მესაკუთრესთან შპს „ინვესტ კაპიტალთან“ ჰქონდათ შეთანხმებული. ამასთანავე, ეკოლოგების განცხადებით, ყველაზე ამაზრზენი ამაში ის იყო, რომ მერიის თანამშრომლებს, რომლებიც ხეებს ჩეხავდნენ, ეცვათ მაისურები წარწერით „გაამწვანე შენი ქვეყანა“.**

„ეკოლოგიური სამართლის ცენტრის“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, რომ ის ტერიტორია, სადაც ამჟამადაც ხეების მასიური ჩეხვა მიმდინარეობს, ეკუთვნის შპს „ინვესტ-კაპიტალს“, რომელმაც თავის მხრივ ტერიტორია შპს „ჟოკეი-კლუბისგან“ 2010 წელს შეიძინა.

„ჟოკეი-კლუბს“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან ხელშეკრულებით ჰქონდა აღებული ვალდებულება, რომ ქალაქის საავტომობილო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გამოყოფდა ტერიტორიას და აღნიშნული მშენებლობისათვის 500 000 აშშ დოლარს დახარჯავდა. ხელშეკრულებითვე განისაზღვრა, რომ მაგისტრალი საბურთალოს ქუჩის მხრიდან თამარაშვილის ქუჩას შეუერთდებოდა.

**„ხელისუფლებამ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და მაგისტრალის გაყვანა მათ მიერვე წარმოდგენილი ახალი პროექტით თვითნებურად გადაწყვიტა. ხელისუფლების ამგვარი ქმედებები არის არა მარტო კონსტიტუციით უზრუნველყოფილი საკუთრების უფლების ხელყოფა, არამედ გარემოს წინააღმდეგ განხორციელებული ვანდალური აქტიც. იმის მაგივრად, რომ ხელისუფლებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული გზა გამოეყენებინათ, შეიჭრა შუაგულ სარეკრეაციო ზონაში და ასეულობით მწვანე ნარგავი გაანადგურა. ის, რაც მათ ჩაიდინეს, არის სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული „ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხვა“, რაც სამი წლით თავისუფლების აღკვეთით ისჯება“,** – აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე.

აქვე იგი ასახელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს, რომლებიც ხელისუფლებამ ამგვარი ქმედებით დაარღვია. მათ შორის არის საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი და თბილისის საკრებულოსა და მერიის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული სამართლებრივი აქტებიც.

„ეკოლოგიური სამართლის ცენტრი“ უახლოეს დღეებში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით პროკურატურას გადაუგზავნის მასალებს და დამნაშავე პირების დასჯის მოთხოვნით მიმართავს.



იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოიმოქმედებს თბილისის მერიის უკანონო ქმედებების წინააღმდეგ თავად ტერიტორიის მესაკუთრე „ინვესტ კაპიტალი“, **for.ge** კომპანიის იურიდიული სამსახურის უფროსს ალა კახნიაურს დაუკავშირდა. იურისტი ადასტურებს, რომ იპოდრომის ტერიტორია შპს „ინვესტ კაპიტალს“ ეკუთვნის და „ჟოკეი კლუბისაგან“ შეძენის შემდეგ მას ამ უკანასკნელის მიერ ნაკისრი გარკვეული ვალდებულებებიც გადმოეცა. ეს იყო გზის გაყვანის ვალდებულება და გზა უნდა გასულიყო საბურთალოს ქუჩის გასწვრივ. კახნიაურის განცხადებით, ამ ხელშეკრულებას, რომელიც „ინვესტ კაპიტალსა“ და „ჟოკეი კლუბს“ შორის გაფორმდა, გზის პროექტიც ერთვოდა თან. იურისტი აცხადებს, რომ მოგვიანებით პროექტი ისე შეიცვალა, რომ ტერიტორიის მესაკუთრე კომპანიასთან ახალი პროექტი არ შეთანხმებულა. ამასთანავე, იგი ამბობს, რომ პროექტი არ არსებობს, რადგან ის რომ არსებობდეს, აუცილებელი იქნებოდა მისი მესაკუთრესთან, ანუ „ინვესტ კაპიტალთან“ შეთანხმება, რაც არ მომხდარა.

**„ჩვენ ორჯერ მოგვმართეს, რათა გზის გასაყვანად გამოგვეყო ტერიტორია. ამის საპასუხოდ ჩვენ მოვითხოვეთ ზუსტი კოორდინატები, რომელი საკადასტრო რუკიდან (ნახაზიდან) კონკრეტულად რა ფართობი სჭირდებოდათ. ბუნებრივია, მათ ეს მონაცემები ვერ წარმოგვიდგინეს, რადგან დამტკიცებული პროექტი, როგორც ასეთი, მერიის შესაბამის სამსახურში უბრალოდ არ არსებობს. ამიტომაც, პროექტს ისე ცვლიან, როგორც უნდათ. თუ პროექტი ჰქონდათ და კანონიერად მოქმედებდნენ, რატომ მივიდნენ ღამე, რატომ მოჭრეს ღობეები და დაიწყეს ხეების ჩეხვა ღამით? ამ სამუშაოების ჩატარება სრულიად თავისუფლად შეიძლებოდა დღისით, რადგან იქ არც ფეხით მოსიარულეებს შეექმნებოდათ პრობლემები გადაადგილებისას, და არც მანქანებს“,** – აცხადებს ალა კახნიაური.

მისი თქმით, მერიის თანამშრომლები „ინვესტ კაპიტალთან“ შეუთანხმებლად მივიდნენ ტერიტორიაზე, ე.წ. „სვარკით“ მოჭრეს რკინის ღობეები, რაც იპოდრომის ტერიტორიას გარს აკრავს და მრავალწლიანი ნარგავები მოჭრეს. „ინვესტ კაპიტალისთვის“ მომხდარის შესახებ მხოლოდ მეორე დღეს გახდა ცნობილი, როდესაც ობიექტის დაცვის სამსახურმა ეს ფაქტი აღმოაჩინა და კომპანიის წარმომადგენლებს შეატყობინა. ადგილზე მისულმა „ინვესტ კაპიტალის“ წარმომადგენლებმა პატრული გამოიძახეს, მაგრამ კახნიაურის თქმით, იმის ნაცვლად, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს მასალები შეეგროვებინათ და ამ საქმისთვის შემდგომი სამართლებრივი მსვლელობა მიეცათ, მათ კომპანიის წარმომადგენლებს მოუწოდეს, მერიის ზედამხედველობის სამსახურისთვის მიემართათ.

**„მერიის კეთილმოწყობის სამსახური, მერის მოადგილის ხელმძღვანელობით ამ ხეებს ჭრიდა და როგორ ფიქრობთ, მერიის ზედამხედველობის სამსახურისთვის მიმართვას აზრი ჰქონდა? ამასთანავე, ჯერ კიდევ თებერვლის ბოლოს მივმართეთ მერიას და უკანონო მშენებლობის შეჩერება მოვითხოვეთ, მაგრამ მათგან ამაზე არანაირი რეაგირება არ მომხდარა“,** – ამბობს კახნიაური.

მისი თქმით, პატრულის ამ განმარტების შემდეგ „ინვესტ კაპიტალის“ წარმომადგენლებმა რკინის ღობე აღადგინეს, მაგრამ იმავე საღამოს ადგილზე მივიდა თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, რომელმაც მიიყვანა მუშები და კვლავ დაიწყეს ხეების ჩეხვა. ალა კახნიაური აცხადებს, რომ ყველა ადმინისტრაციული სამსახური მათ მოქმედებას ხელს უწყობდა და უფრო მეტიც, ადგილზე დამონტაჟებული სათვალთვალო კამერებიდან ამ ფაქტების ამსახველი ვიდეომასალაც კი წაშალეს. იურისტი აცხადებს, რომ „ინვესტ კაპიტალი“ ამ საქმეს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების გარეშე არ დატოვებს, მაგრამ ქართული მართლმსაჯულების იმედი ნაკლებად აქვს.

**„ჩვენ ახლა ვამზადებთ მასალებს, რათა საგამოძიებო ორგანოებს გადავცეთ, მაგრამ ქართული სასამართლოს იმედი არ გვაქვს, რადგან არც ერთი ჩვენი განცხადება, არც ერთ უწყებაში არ კმაყოფილდება, არც საჯარო სამსახურებში და არც სასამართლოში. სადაც მივდივართ, ყველგან დიდი კედელი გვხვდება და უსამართლობას ვაწყდებით“,** – აღნიშნავს კახნიაური.

თბილისის მერიაში „ინვესტ კაპიტალის“ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფენ. მერიის პრესსპიკერი ბაჩო დოლიძე **for.ge**-სთან საუბარში აცხადებს, რომ ისინი კანონის და „ინვესტ კაპიტალთან“ დადებული ხელშეკრულების დაცვით მოქმედებენ. დოლიძის თქმით, ხელშეკრულებაში წერია, რომ ტერიტორიის მესაკუთრე უფლებას აძლევს მერიას, გზის სარემონტო სამუშაოები აწარმოოს.

**„გასაკვირიც არის, რატომ უნდა შეეშალოს ამ პროექტს ხელი, როდესაც მისი მეშვეობით ჩვენ ქალაქში მოძრაობის კიდევ უფრო განტვირთვას შევძლებთ. აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის დიდ მნიშვნელობას თავად კომპანიის მფლობელებიც გვიდასტურებენ. ისინი ადასტურებენ იმასაც, რომ ამ ადგილს გზის გაყვანის შემდეგ ფუნქციონალურად უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცემა“,** – აცხადებს ბაჩო დოლიძე **for.ge**-სთან საუბარში.

ჩვენს კითხვაზე, თუკი არსებობს პროექტი, რატომ არ არის იგი მესაკუთრესთან შეთანხმებული და გადაუხვია თუ არა მერიამ თავდაპირველ პროექტს (გზის გაყვანა საბურთალოს ქუჩის გასწვრივ თამარაშვილის ქუჩისკენ), ბაჩო დოლიძე პასუხობს, რომ პროექტის ცვლილება არ მომხდარა, უბრალოდ პროექტმა ოდნავი კორექტირება განიცადა, რის შესახებაც „ინვესტ კაპიტალი“ ინფორმირებულია და თავადაც ადასტურებს, რომ გზის გაყვანითი სამუშაოები ყველაზე ოპტიმალური პროექტით ხორციელდება.

თუმცა როგორც მოგახსენეთ, „ინვესტ კაპიტალის“ იურისტი ირწმუნება, რომ პროექტის ცვლილება მათთან შეთანხმებული არ ყოფილა.

**რუსიკო უშიკიშვილი**

## სარედაქციო ფოსტიდან

# ოცნება – კაცთ დაბალი სულითა ასამაღლებლად გამოგონილი!..

**ქართული სუფრის კარგი თამადა ტრადიციულ სადღეგრძელოებს, შიგა და შიგ, რაღაც ახალს, ორიგინალურს, ჯერართქმულსა და არგაგონილს გამოურევს ხოლმე. ცხოვრების გრძელ გზაზე საქართველოს თითქმის ყველა რაიონში და მრავალ სოფელში ვარ ნამყოფი. ცალკეული კუთხის თავისებური სტუმართმოყვარე ხასიათის გამო არაერთი სუფრის ხშირი სტუმარიც ვყოფილვარ. ერთხელ, ეს საკმაოდ დიდი ხნის წინათ იყო, დუშეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, საკმაოდ მრავალრიცხოვან სუფრას სოფლის მასწავლებელი თამადობდა.**

მის მიერ ნათქვამი ყველა სადღეგრძელო მჭევრმეტყველების ნიმუში იყო, არც ერთი ზედმეტი სიტყვა, ზომიერი, სასიამოვნოდ მოსასმენი. როცა სუფრა ეშხში შევიდა, თამადამ ორი პატარა ყანწი შეავსო, ერთი, როგორც სტუმარს, მე გადმომცა და თქვა – ამ ლამაზი სასმისით ადამიანის გონების ულამაზესი უნარის, ოცნების სადღეგრძელოს გთავაზობთ და გისურვებთ თქვენი ოცნებებისა და ნატვრის შესრულებასო. აბა, მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ დადგებოდა დრო, ქართული სუფრის სადღეგრძელოების რეპერტუარში, სოფლის ერთი რიგით მასწავლებელს (იგი უსათუოდ კარგი მასწავლებელიც იქნებოდაძ თქმული სადღეგრძელო ერთ-ერთ საპატიო ადგილს დაიჭერდა, თუმც ოცნების არა როგორც ზოგადად ცნებისა, არამედ კონკრეტულად ქართული ოცნებისა – ახალი იმედისმომცემი პოლიტიკური გაერთიანებისა.

ქართული ოცნება! რა დიდებულად ჟღერს ეს დეფინაცია! ვინ მოიგონა იგი, ვინ არის მისი ნათლია? ვიცი, განა არ ვიცი – ნათლია ქართველი ხალხია, მისი ფესვებიდან ამოსული, რომელსაც ხალხის გენიას ეძახიან.

რაზე ოცნებობს დღეს ქართველი კაცი? მოდით, ჯერ ჩვენს ცნობილ მეცნიერს – ფილოლოგს და კიდევ უფრო ცნობილ ექიმს, ივანე გომართელს, მოვუსმინოთ და შემდეგ სხვათა აზრებიც გავიზიაროთ. ბატონი ივანე ავადმყოფებს მხოლოდ წამლებით კი არ მკურნალობდა (თუმცა, როგორც ცნობილია, ღარიბ ავადმყოფებს წამლების ფულსაც თვითონ აძლევდაძ და თურმე ავადმყოფები მისი დამამშვიდებელი, დამაჯერებელი სიტყვებითაც იკურნებოდნენ. აი, რას წერს ბატონი ივანე ოცნებასთან დაკავშირებით: **„უმწეო მდგომარეობიდან გამოსასვლელად ბუნებამ ადამიანს საუცხოო კარი დაუტოვა. ეს კარი რომ არა, მართლაც, ჩვენი არსებობა ხშირად აუტანელი იქნებოდა და ცხოვრება – საშინელება. ეს კარი ოცნებაა. ყოველივე ამაოა და წარმავალი. ახალგაზრდობა, სილამაზე, სახელი, სიმდიდრე – ყოველივე კვდება, ქრება, ისპობა, იკარგება, მხოლოდ ოცნებაა უკვდავი, უჭკნობი, მარად მშვენიერი. ოცნება ცხოვრების სამკაულია. ოცნება რომ არ იყოს, ცხოვრება უმეტეს შემთხვევაში საშინელი სატანჯველი იქნებოდა. ოცნება ადამიანს ამაღლებს, სულს უტკბობს, გრძნობას უფაქიზებს. ოცნებამ მისცა ადამიანს სარწმუნოება, ხელოვნება. ოცნებამ ასწავლა მას სიმღერა, ცეკვა, სამართალი. ოცნება შემოჭრილია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ვერ ნახავთ ადამიანს რომ უოცნებოდ ცხოვრობდეს“.**

ცნობილი გერმანელი მწერლის თომას მანის ნაწარმოებში ამოვიკითხე: **„ყოველი ადამიანი თავისებურად ოცნებობს. დიდი სულის, რომლის პატარა ნაწილსაც შენ წარმოადგენ, სწორედ შენგნით და შენებურად ოცნებობს იმ საგნებზე, გულში მარადს საოცნებოდ რომ გაუხდია, ოცნებობს თავის ახალგაზრდობაზე, თავის იმედზე, თავის ბედნიერებასა და მშვიდობაზე“. ასევე საინტერესოა დიდი ფრანგი მოაზროვნე მწერლის ანატოლი ფრანსის გამონათქვამი: „უდიდესი სიბრძნეა – შეინარჩუნო ოცნების უნარი. ოცნებანი აძლევენ ქვეყნიერებას ინტერესსა და აზრს. ოცნებანი თუკი ისინი თანმიმდევრული და გონივრულია, კიდევ უფრო მშვენიერდებიან, როდესაც რეალურ სამყაროს თავის ხატად და მსგავსად აქცევს“.**

სწორედაც რომ ასეთია ქართული ოცნება – მიზანდასახული, კარგად გათვლილი და წინასწარმეტყველური, რადგანაც „ოცნება წინასწარმეტყველებას შეიცავს“ (ბერნარდ შოუძ. იგი აუცილებლად ასრულდება.

ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში, განსაკუთრებით პოეზიაში გვხვდება ოცნებისადმი მიძღვნილი ლექსები, მათ შორის აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის შემოქმედებიდან. მაგრამ მათი აქ მოტანა შორს წაგვიყვანს. გვინდა მხოლოდ ერთი ამონარიდი შემოგთავაზოთ მიხეილ ჯავახიშვილის პოეტური ქმნილებებიდან. ბევრმა არც კი იცის, ან არ ახსოვს, რომ ეს ბუმბერაზი მწერალი-პროზაიკოსი ლექსებსაც წერდა:

**„მე ოცნება ვარ! კაცთ დაბალ სულთა
ასამაღლებლად გამოგონილი,
კაცთა ქმნილება, მათივ ნაშობი,
მათი ნახატი და მოგონილი.
დიდი, პატარა, გლახა, მდიდარი
ყველა მე მეტრფის, ჩემზე ლოცულობს,
სუსტი, ძლიერი უხმო, ხმინი
საკმეველს მიკმევს და ჩემით ცხოვრობს“.**

ხომ დიდებული ნააზრევია, თვითონაც დიდებული, საქართველოზე მეოცნებე კაცისა...

**ღმერთმა ქნას, რომ ამ ტანჯული მწერლის ნაოცნებარი – კაცთა დაბალი სული ისე ამაღლდეს, რომ საქართველოში ბოროტება ამოიძირკვოს და ქვეყნად სიკეთის ნერგმა იხაროს.**

**ოთარ ოსაძე,**
**ყოფილი პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი,**
**86 წლის პენსიონერი,**
სოფელი ფცა (ქარელის რაიონი)

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „ხერხემალი" მიუახლოვდა „თავს"

საქართველოში მოხდა კადრების მოულოდნელი გადაადგილება. ვანო მერაბიშვილი, რომელიც ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს 2004 წლიდან ხელმძღვანელობდა, გახდა სახელმწიფოს მესამე კაცი, მან პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა.

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ექსპერტები სხვადასხვაგვარად განმარტავენ ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ კომენტატორების უმრავლესობა ერთ რამეში თანხმდებიან: მერაბიშვილის დანიშვნა დაკავშირებულია ოქტომბრისთვის დანიშნულ პარლამენტის არჩევნებთან.

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი გახდა შინაგან საქმეთა მრავალი წლის ხელმძღვანელი**

მოულოდნელი დანიშვნა მოხდა გასულ შაბათს, უკვე მას შემდეგ, რაც პარასკევს, 29 ივნისს პარლამენტმა დაამთავრა უკანასკნელი ოფიციალური საგაზაფხულო სესია. როდესაც თავისი გადაწყვეტილების შესახებ აკეთებდა განცხადებას, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მერაბიშვილმა შეძლო პოლიციისგან, რომელიც მთლიანად დისკრედიტებული იყო, შეექმნა სრულიად ახალი სტრუქტურა და ახალი მექანიზმები". მან გამოთქვა იმედი, რომ მერაბიშვილი თავს გაართმევს უმუშევრობას ისევე წარმატებით, როგორც კორუფციასთან ბრძოლაში მოხდა ეს.

უკვე ცნობილია, რომ კაბინეტის ხელმძღვანელი წარადგენს მთავრობის ახალ პროგრამას და მის ახალ შემადგენლობას ორშაბათს, 2 ივლისს. ოფიციალური ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის ვაკანტურ ადგილზე პრეტენზიებს აცხადებენ თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია და განათლების მინისტრი დიმიტრი შაშკინი. უკვე ექსპრემიერ ნიკა გილაურს შესთავაზეს სამთავრობო პარტნიორული ფონდის ხელმძღვანელის პოსტი.

რას ნიშნავს ეს საკადრო მსვლელობა ქვეყნისთვის? საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში უამრავი ერთი-მეორისგან განსხვავებული აზრი გაჩნდა ამასთან დაკავშირებით. მმართველი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები მერაბიშვილის საკარიერო აღმასვლას მიესალმებიან და ლოგიკურად მიაჩნიათ: შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილმა ხელმძღვანელმა, მათი აზრით, შესანიშნავად წარმოაჩინა თავისი თავი, როგორც ძირეული პოლიციური რეფორმის ავტორმა, როგორც კორუფციასთან მებრძოლმა და კარგმა მენეჯერმა.

პოლიტოლოგმა სოსო ცინცაძემ ამ დანიშვნაში დაინახა „ქვეყნის მომავალი პირველი პირის კონტურები". არ არის საიდუმლო, რომ მერაბიშვილი ითვლება პრეზიდენტის ერთ-ერთ ყველაზე ლოიალურ ჩინოვნიკად. სააკაშვილმა ერთხელ მას როგორღაც „ქვეყნის ხერხემალიც" კი უწოდა. პარლამენტის არჩევნებიდან ერთი წლის შემდეგ გაიმართება პრეზიდენტის არჩევნები (მისი ზუსტი თარიღი ჯერჯერობით დასახელებული არ არის). ამას მოჰყვება ის, რომ ამოქმედდება პოლიტიკური რეფორმა, რომელიც მკვეთრად გააძლიერებს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებებს. ცინცაძე მიიჩნევს, რომ პარლამენტის არჩევნები გვიჩვენებს, თუ რა ფუნქციები დაეკისრება მერაბიშვილს. იმ შემთხვევაში, თუ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" შეინარჩუნებს უმრავლესობას პარლამენტში, არ არის გამორიცხული, რომ 2013 წელს მოხდება კარგად ცნობილი რუსული პოლიტიკური როქი: სააკაშვილი გახდება პრემიერი, ხოლო „ქვეყნის ხერხემალი" წამოაყენებს თავის კანდიდატურას პრეზიდენტის პოსტზე.

ოპოზიციის წარმომადგენლებმა მთლიანად მერაბიშვილის დანიშვნა ნეგატიურად აღიქვეს. კერძოდ, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა გიორგი თარგამაძემ განაცხადა, რომ ამ საკადრო გადაწყვეტილებამ დაადასტურა ქვეყანაში სახელმწიფო მართვის იმ მოდელის ფაქტი, რომელიც ორიენტირებულია ხელისუფლების შენარჩუნებასთან. „ქართული ოცნების" ერთ-ერთმა ლიდერმა რესპუბლიკური პარტიიდან თინათინ ხიდაშელმა მთავარი პოლიციელის პრემიერად დანიშვნას უწოდა იმის ნათელი დადასტურება, რომ „ჩვენ ვცხოვრობთ პოლიციურ სახელმწიფოში".

ბევრისგან განსხვავებულ შეფასებას იძლევა პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე. ერთ-ერთი სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში მან ივარაუდა, რომ მერაბიშვილის გათავისუფლება შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან დაკავშირებულია მისადმი უნდობლობასთან. „იყო ხმები იმის შესახებ, რომ პრეზიდენტი მოითხოვდა ოპოზიციის დაშლას და მერაბიშვილმა ამაზე უარი განაცხადა. შესაძლებელია, ეს იყოს კიდეც მიზეზი", — მიაჩნია მას. მისი სიტყვებით, პრემიერი — ეს ფაქტობრივად „პრეზიდენტის თანაშემწეა, რომლის განკარგულებაშიც არ შედიან ძალოვანი მინისტრები".



НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

# სსრ კავშირის დაშლიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა ევროსთვის

ისტორიაში არის მომენტები, როდესაც მოვლენები, რომლებიც თითქოსდა წარმოუდგენელად გვეჩვენება, მოულოდნელად გარდაუვალი ხდება, წერს „ფინანსიალ თაიმსის" მიმომხილველი ფილიპ სტივენსი. ის ურჩევს ევროპის ლიდერებს დაფიქრდნენ ამ შემობრუნების მომენტზე.

ამ დღეებში სტივენსი ესწრებოდა რომელიღაც გადამდგარი დიპლომატის ლექციას. „მან გვაცნობა, რომ 1980-იან წლებში დასავლეთი აბსოლუტურად იყო დარწმუნებული ორ რამეში: ჯერ ერთი, საბჭოთა სისტემა არ არის სიცოცხლისუნარიანი, მეორეც, იგი იარსებებს მუდამ. როდესაც ეს სიტყვები მოისმინეს, ყველა დამსწრე დაფიქრდა ევროზე", — წერს ავტორი.

სტივენსის შეხედულებით, საბჭოთა ხელმძღვანელები დაღუპა იმის რწმენამ, რომ საბჭოთა სახელმწიფო და სოციალისტური წყობა იქნება უცვლელი, რაც უნდა მოხდეს. „თუ მიგაჩნია, რომ რაღაც მოვლენა შეუძლებელია, მაშინ ძნელად რომ მიიღო სიფრთხილის რაიმე აუცილებელი ზომები", — ნათქვამია სტატიაში.

„დაშლის მომენტში 1992 წელს ნგრევის უძლეველი ძალა მოდიოდა ცენტრიდან: გამოეყო რუსეთი და არა პერიფერიული სახელმწიფოები", — ამტკიცებს ავტორი.

მაშასადამე, ევროზონა — ეს არის სსრ კავშირი, გერმანია დღეს კი — რსფს რესპუბლიკა, რომელმაც ისურვა გამოყოფა? „კიც და არაც", — გვიპასუხებს სტივენსი.

ევროზონა არ არის „იმპერია, რომელიც დამყარებულია დაბალანსებულ ეკონომიკურ სისტემაზე", — განმარტავს იგი. მისი ეკონომიკური პრობლემები კი გამოწვეულია არა ევროს არსებობით, არამედ კრიზისით, რომელიც დამარცხდა საფინანსო კაპიტალიზმის ანგლოსაქსური მოდელით. ევროზონის დაშლა, სსრ კავშირის დანგრევისგან განსხვავებით, არ შეეხება ეროვნულ იდენტურობას და სახელმწიფოს საზღვრებს.

და მაინც სტივენსი პოულობს პარალელებს სსრ კავშირთან. ევროპელი პოლიტიკოსები და ბანკირები დარწმუნებული არიან, რომ ევრო შენარჩუნებული იქნება, ვინაიდან ალტერნატიული სცენარები, უბრალოდ, უგუნურობაა. „მაგრამ საბჭოთა ხელმძღვანელებიც ფიქრობდნენ: თუ არაფერს გავაკეთებთ, ყველაფერი დარჩება ისე, როგორც არისო", — აღნიშნავს ავტორი.

სსრ კავშირისგან განსხვავებით, ევროზონა არ არის განწირული დაშლისთვის შინაგანი დაპირისპირების ტვირთის ქვეშ, მაგრამ მისი შენარჩუნება — ვაი, რომ არ არის გარდაუვალი, აკეთებს დასკვნას სტივენსი.

FINANCIAL TIMES

## დედამიწის ზურგზე



რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდალმა აღაშფოთა ტაჯიკეთი სიტყვებით მომავალი ომის შესახებ

ტაჯიკეთი დარწმუნებულია: კონფლიქტები ცენტრალურ აზიაში გარდაუვალია. თუმცა ისინი დაეხმარებოდნენ რუსეთს „დაებრუნებინა" უზბეკეთი, მიაჩნიათ მეთვალყურეებს. ტაჯიკელი სამხედროები ურჩევენ რუს კოლეგებს არ დაძაბონ ვითარება: მოლაპარაკება რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების 2001-ე ბაზის შესახებ ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ამ დროს ექსპერტები ეთანხმებიან რუს სამხედროებს: უზბეკეთის კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულებიდან გამოსვლის გამო რეგიონს რთული პერიოდი ელოდება.

* * *

ყველა ადამიანი სამყაროს ხედავს სხვადასხვაგვარად, დაადასტურეს მეცნიერებმა: ის, რაც ერთისთვის წითელია, მეორისთვის არის ლურჯი



მაგრამ ემოციური ზემოქმედება, რასაც ჩვენზე ახდენენ ფერები, ერთნაირია ყველასთვის და სულაც არ არის დამოკიდებული მათს აღქმაზე, არამედ დამოკიდებულია შუქის ტალღის სიგრძეზე. მაგალითად, ლურჯი ფერი — მოკლე ტალღაა, როგორც წესი, მას აქვს დამამშვიდებელი ეფექტი, ხოლო უფრო გრძელი ტალღები — ყვითელი, ნარინჯისფერი და წითელი — ადამიანს ხდიან უფრო ყურადღებიანს.

* * *

„ჰამასის" ლიდერმა ტერაქტებისთვის 54 სამუდამო ვადა მიიღო




იბრაჰიმ ჰამადი მიჩნეულია დამნაშავედ ტერაქტების ორგანიზაციაში, რომლის დროსაც დაიღუპა 46 ისრაელელი, 400 კი დაიჭრა. რვა შემთხვევაში შეტევების თავიდან აცილება მოხერხდა. ყოველი დანაშაულისთვის სასამართლომ 47 წლის ტერორისტს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა — ეს მთლიანად 1350 წელია ციხეში. ადრე ისრაელმა უარი განაცხადა ჰამადის გალიბ შალიტზე გაცვლაზე.

* * *

მეცნიერებმა განიხილეს დედამიწის დაღუპვის მოდელი „მელიების" მაგალითზე

კვლევის ობიექტი გახდა პლანეტა HD 189733 d, რომელიც დედამიწიდან 63 სინათლის წლითაა დაშორებული. ვარსკვლავზე ძლიერი აფეთქების გამო, რომლის მახლობლადაც მოძრაობს ეგზოპლანეტა, მასზე დააფიქსირეს ატმოსფეროს ძლიერი ამოფრქვევა. ასტრონომებს ეშინიათ, რომ ასეთი სცენარი ელოდება ჩვენს პლანეტასაც.



**სხვადასხვა სფეროს მეცნიერებმა და ფუტუროლოგებმა 50 წლის პროგნოზები გააკეთეს, რომელთა უმრავლესობა, ცხადია, ციფრულ ტექნოლოგიებს უკავშირდება.**

**მოვა დრო და, ჩვენ ვერც კი შევამჩნევთ, თუ სად „მთავრდება“ კომპიუტერი და სად „იწყება“ ადამიანი. კიბორგების ეპოქის დადგომა ცნობილმა ფუტუროლოგმა რეი კურცველმა 2045 წლისთვის „დანიშნა“.**

მაგრამ, რამდენად რეალურია ეს თარიღი? ამასთან დაკავშირებით ავსტრალიელმა ფილოსოფოსმა რიჩარდ უოტსონმა თავისი მოსაზრება გამოთქვა წიგნში „მომავლის ფაილები: მომდევნო 50 წლის ისტორია“: **„რაც შეეხება „ციფრულ ეპოქას“, დღესდღეობით ცოტა ვინმე თუ უფიქრდება იმას, რომ ამჟამად „ციფრული ერის ბნელ პერიოდში“ ვართ. იმას, რასაც ამჟამად საგულდაგულოდ ვინახავთ, მომავალი თაობები პრაქტიკულად ვერც წაიკითხავენ. აი, მაგალითად, ახლა ხელთ მიპყრია ძველი საოჯახო ალბომი, რომელიც, ვთქვათ, ასი წლისაა. ფოტოსურათები სავსებით აღიქმება. გვერდით კი 1990-იანი წლების დისკეტების დასტა მიდევს, მაგრამ იმის წაკითხვას, რაც ზედაა ჩაწერილი, ვერც ერთი თანამედროვე მოწყობილობა ვერ შეძლებს. ეს, იქნებ, წვრილმანია, მაგრამ სულ სხვა საქმეა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური კვლევის სააგენტოს დღესდღეობით უკვე აღარც იმ ჩანაწერების წაკითხვა შეუძლია, რომელიც მარსზე გაფრენის დროს კოსმოსურმა სადგურმა „ვიკინგმა“ 1976 წელს გააკეთა...“**

## 2015 წელი

ცოტა ხნის წინათ ნიუ-იორკში ჩატარებულ ფუტუროლოგთა სამიტის ერთ-ერთი მონაწილისა და კორპორაცია „უკვდავების“ დაფუძნების ინიციატორის დიმიტრი იცკოვის აზრით, **2015 წელს პირველი ავატარი გაჩნდება, რომლის მმართველი კომპიუტერით მართული ადამიანისთვის ტვინის ახალი ასლი იქნება, როგორც ეს ბრიუს უილისის ფილმ „სუროგატებშია“ ნაჩვენები.** შეგახსენებთ, რომ ამ ფანტასტიკურ ბოევიკში ადამიანები კაფსულებში სხდებოდნენ, თავზე გადამცემებიან მუზარადს იხურავდნენ და საკუთარ ანდროიდს ნერვული იმპულსების მეშვეობით მართავდნენ, რასაც რეალობის სრული ეფექტი ახლდა. მოგვიანებით მსგავსი ტექნიკა რეჟისორმა ჯეიმს კემერონმა თავის გახმაურებულ ფილმში „ავატარში“ გამოიყენა.

## 2020 წელი

კორპორაციის სპეციალისტთა გათვლებით, 2020 წლისთვის მეცნიერები ხელოვნური სხეულების შექმნას შეძლებენ, რომელთა ხელმისაწვდომობა და მართვა ისეთივე ადვილი იქნება, როგორც თანამედროვე ავტომობილებისა. **2045 წლისთვის კი სხეულ-ჰოლოგრამას შექმნიან, რომლის პროეცირება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში იქნება შესაძლებელი, სადაც კი გონება მოისურვებს!**

კომპანია „აი ბი ემის“ ექსპერტების აზრით, ადამიანი ენერგიის გამომუშავებას თითქმის ყველაფრისგან შეძლებს, რაც მის ირგვლივაა, მათ შორის საკუთარი სხეულიდანაც კი. ამას „პერსონალურ ენერგეტიკას“ დაარქმევენ. მეცნიერთა აზრით, **ყველაფერს, რაც მოძრაობს, ან სითბოს გამოყოფს, ენერგიის შექმნის პოტენციალი აქვს**. მაგალითად, ჯორჯიის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში უკვე ამუშავებენ ტანსაცმელს, რომლითაც მობილური ტელეფონებისა და მცირე ზომის სხვა ხელსაწყოების ენერგიით კვება იქნება შესაძლებელი. საამისოდ მაისურებსა და ჯინსის შარვლებში მიკროსუპერკონდენსატორებს ჩააკერებენ, რომელთათვის ელექტროდენის გამოსამუშავებლად მსუბუქი ვიბრაციაც კი საკმარისი იქნება.

— მობილური ტელეფონის დატენვა გულისძგერით, ნაბიჯებით ან, სულაც, სიოს დაბერვით იქნება შესაძლებელი, — ამბობს „აი ბი ემის“ სპეციალისტი პაულ ლევისი. — გამომუშავებული ელექტრობა კი ტანსაცმელში ჩაკერებულ მიკროსუპერკონდენსატორებში დაგროვდება, რომლებიც ჩვეულებრივ აკუმულატორებს ჩაანაცვლებენ.

## 2025 წელი

კემბრიჯის უნივერსიტეტის ცნობილმა გერონტოლოგმა **ობრი დი გრეიმ განაცხადა, რომ იცის, თუ როგორ უნდა დაძლიოს სიბერე და ადამიანის სიცოცხლე 100 წლამდე გაახანგრძლივოს!** მეცნიერის აზრით უკვე გაჩნდა გაახალგაზრდავების აბების შექმნის რეალური შესაძლებლობა.

— ამ სასწაული წამლის შემადგენლობაში სვეტიან

# რეალური ტელეპატია, ყოვლისმომცველი მარტოობა...



უჯრედებთან ერთად ისეთი საგანგებო ნივთიერებები იქნება, რომლებიც იმუნური სისტემის მასტიმულირებლებია, უჯრედებს ელასტიურობას უბრუნებენ, ხოლო სნეულ უჯრედებს თვითგანადგურებას „აიძულებენ“. კიდევ მის შემცველობაში იქნება პეპტიდები, ანუ ეგრეთ წოდებული ბეტა-დამშლელები, რომლებიც უჯრედებს შორის წარმოქმნილ საცობებს გაანადგურებენ, ასევე სხეულმერაზაფერმენტი, რომელიც უჯრედების ბიოლოგიურ დაბერების ტემპს განსაზღვრავს. გარდა ამისა, წამლის დასამზადებლად ასევე უჯრედების შიგნით „ნაგვის“ დამშლელ მრავალ სხვა ფერმენტს გამოიყენებენ, რომლებსაც სხვა ბაქტერიებისგან აიღებენ.

## 2030 წელი

ამ თარიღისთვის **ჩვენ შევძლებთ სექსის დროს ნერვული სიგნალების ჩამწერი ელექტრონული სქემების კანზე დატანასა და ნებისმიერ სასურველ დროს ხელმეორედ „დაკვრას“.**

ბრიტანელი ფუტუროლოგის იენ პირსონის აზრით, ამის გაკეთებას საგანგებო გადამცემების საშუალებით შევძლებთ, რომლებსაც ხვევნისა და კოცნის დროს წარმოშობილი შეგრძნებების მიგნება და სპეციალური რუკის სახით გადაცემა შეეძლებათ. შემდეგ კი, სათანადო ბრძანების მიღების შემდეგ, ეს გადამცემები ნერვული სისტემის სტიმულირებას შეძლებენ, რაც წნევის, სითბოსა და მოძრაობის შეგრძნებას გამოიწვევს. **ამ გზით შესაძლებლებელი იქნება ცნობილი ადამიანთა შეგრძნებათა გაყიდვაც კი!** წარმოიდგინეთ, რომ ამ მეთოდის გამოყენებით შეგეძლებათ ნებისმიერი სექსუალური პარტნიორის მარტო საკუთარი სურვილისდა მიხედვით შერჩევა: **ერთ ღამეს შორენასთან გაატარებთ, მეორეს — დუტასთან...**

შემდგომ კი, იენ პირსონის გეგმით, **შესაძლებელი იქნება სექს-ჩიპების თავის ტვინში იმპლატირება და ამ გზით ორგაზმის ყოველგვარი სექსის გარეშე მიღწევა!** საამისოდ, კომპიუტერზე გარკვეულ კლავიშზე თითის დაჭერა იქნება საკმარისი, რის შემდეგ განცხრომის შეგრძნებაზე პასუხისმგებელი ნეირონების ჯგუფები სტიმულირების სიგნალს უკაბელო კავშირის მეშვეობით მიიღებენ.

## 2035 წელი

**2035 წლისთვის მეცნიერები შეძლებენ სხვადასხვა რასისა და ეროვნების დაახლოებით სამი ათასი კაცის გენომების გაშიფვრას.** მაგალითისთვის აღვნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ სრულიად გაშიფრულ გენომთა რიცხვი სულ რამდენიმე ათეულს არ აღემატებოდა. **2035 წლისთვის კი თითოეულ ადამიანს ფლეშკა ექნება, რომელზეც მისი გენომი იქნება ჩაწერილი, რომელიც სამედიცინო ისტორიას შეცვლის.** საქმე ისაა, რომ დნმ-ს ასიათასობით ნაწილაკის გაშიფრვა შეუდარებლად გაიაფდება. მაგალითად, **თუ 2009 წელს გენომის სრული რუკა მილიონი დოლარი ღირდა, რამდენიმე ათეულ წელიწადში მისი ღირებულება რამდენიმე ასეული დოლარი იქნება.**

ყოველ შემთხვევაში ამას ჰპირდებიან კაცობრიობას საერთაშორისო პროექტის „1000 გენომის“ ავტორები. აღნიშნული პროექტის მიზანია ყველა ადამიანის გენეტიკურ ცვლილებათა სრული კატალოგის შედგენა, რაც ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის მომავალ დაავადებათა დადგენისა და მათი განკურნების შესაძლებლობას შექმნის. მეტიც: გენები იმასაც „გვიკარნახებენ“, თუ რომელი პროფესიის დაუფლება უფრო მეტად გამოადგება კაცს, რათა მან საკუთარი ბუნებრივი ნიჭის სრულად წარმოჩენა შეძლოს.

## 2040 წელი

მაგრამ „აი ბი ემის“ სპეციალისტთა **ყველაზე სენსაციური პროგნოზი მაინც ისაა, რომ ადამიანები ტელეპატიას დაეუფლებიან — არა მაგიურს, არამედ ტექნიკურს.**

**— დამბლადაცემულ ავადმყოფებს თავის ტვინში მიკროსქემებს დღესდღეობითაც კი უნერგავენ, რომელთა მეშვეობით ისინი ფიქრის ძალით ცდილობენ ელექტრონული წერილების წესის სწავლას, ვიდეოთამაშებით გართობასა და ინტერნეტით მგზავრობას,** — ასე ხსნის პროგნოზის არსს პროფესორი ქენდრიკ ქეი. — მაგრამ ტექნიკურ „ტელეპატიას“, ძირითადად, მაინც სათამაშო და გასართობ ინდუსტრიაში გამოიყენებენ.

2040 წლისთვის ერთ გლობალურ ქსელში გაერთიანდებიან კინოინდუსტრია, ფარმაკოლოგია, საკომპიუტერო დარგი და მეცნიერება თავის ტვინის შესახებ — ისინი ერთიან მთლიანობას შექმნიან. ამის შედეგად „მანქანას“ შერწყმული ადამიანი, მეცნიერთა დაპირებით, „გართობისა და საკუთარი თავის გამოხატვისთვის ყოვლის მომცველ სივრცესა და უსაზღვრო შესაძლებლობას დაეუფლება“.

## 2050 წელი

ავსტრალიელი ფუტუროლოგი და ფილოსოფოსი რიჩარდ უოტსონი დარწმუნებულია, რომ ტოტალური კომუნიკაციებისა და ყველაფერთან ყველაფრის კავშირის ეპოქაში, ყველაფრის მიუხედავად, ადამიანს მარტოობის უდიდესი გრძნობა შეიპყრობს...

თუ რატომ მოხდება ასე, ამის შესახებ შემდგომში მოგითხრობთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

**დედაქალაქი**

# ხედები, რომლებიც მანამდე მხოლოდ მერცხლებს თუ უნახავთ...

**ივლისის დამდეგს თბილისელებმა და დედაქალაქის სტუმრებმა საუცხოო საჩუქარი მიიღეს: რეგულარული მუშაობა დაიწყო ახალმა საბაგირო ხაზმა, რომლის ქვედა სადგური მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, რიყის უბანში ევროპის მოედანზეა განთავსებული, ზემო კი ბოტანიკური ბაღის პლატოზე, ნარიყალის ციხისა და წმ. ნიკოლოზის საყდრის მახლობლად.**



თბილისის ძირძველი უბნების თავზე გამავალი ახალი საბაგირო გზის შვიდიდან ექვსი რვაკაციანი და ერთი, მთლიანად მინის კორპუსის მქონე, ხუთკაციანი ავსტრიული წარმოების გონდოლა 508-მეტრიან სავალს ორ წუთს ანდომებს.

— მართალია, მგზავრთათვის საბაგირო გზა დღის 12 საათზე იწყებს მუშაობას, მაგრამ მომსახურე პერსონალი საქმიანობას დილაადრიანვე უდგება, რა დროსაც აგრეგატების ტექნიკურ-პროფილაქტიკურ მოვლა-პატრონობას ვანდომებთ, — ამბობს ცვლის უფროსი ნიკოლოზ მეტრეველი. — მერე კი ღამის 12 საათამდე მგზავრები გადაგვყავს, რომლებიც, ჩვენდა სასიხარულოდ, ნამდვილად არ გვაკლია. მოდიან როგორც უცხოელი სტუმრები, ასევე მრავლად არიან თბილისელები თუ სხვადასხვა მხარეებიდან ჩამოსულნი. მგზავრობა ძვირიც არ არის — ბილეთის ფასია ლარი, თანაც მეორე მსოფლიო და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ომების ვეტერანებისთვის, უსინათლოებისთვისა და თბილისელი მოსწავლეებისთვის მგზავრობა უფასოა, ხოლო პენსიონერებსა და პედაგოგებს 50-პროცენტიანი შეღავათი აქვთ.

ახალი საბაგირო გზით ჩვენც ვიმგზავრეთ, გაზეთის ჟურნალისტებმა და მოხიბლულნი დავრჩით ვაგონების შიდა გაფორმებითაც, მაგრამ, ცხადია, იმ ულამაზესი ხედებით, რომლებითაც ძველი თბილისი ყველა მოყვარეს ეგებება.

**ნინო ალექსანდრია,**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**



## დიდი სიურპრიზი




# 2015 წლის უეფას სუპერთასის მასპინძელი თბილისია!

**გადაწყდა — 2015 წლის 12 აგვისტოს, თბილისი და საქართველო, პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში უეფას სუპერთასის მასპინძელი იქნება.**

ეს გადაწყვეტილება კიევში, უეფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მიიღეს, რომელსაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი — ზვიად სიჭინავა და გენერალური მდივანი — რევაზ არველაძე ესწრებოდნენ.

უეფას გადაწყვეტილებით, 2013 წლიდან, მონაკო სუპერთასის ტრადიციული მასპინძელი აღარ იქნება და ამიერიდან, ყოველწლიურად მას სხვადასხვა ქალაქები უმასპინძლებენ. მაგალითად, 2013 წელს, ფინალური მატჩი პრაღაში ჩატარდება, ხოლო, ჩვენდა სასიხარულოდ, 2015 წელს, ამ დიდი მატჩისა და ღონისძიების მასპინძელი ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი იქნება.

ამ ეტაპზე, დეტალები ჯერ ცნობილი არაა. ჩვენთვის საინტერესო ყველა კითხვას კი, ამომწურავი პასუხი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელების თბილისში დაბრუნების შემდეგ გაეცემა.

## „ევრო — 2012“

# ზღაპრული აპოთეოზი

**ცხადში ესპანეთი ზედიზედ მეორედ, ხოლო სულ მესამედ გახდა ევროპის ჩემპიონი და ამ მაჩვენებლით კონტინენტის აწ უკვე ყოფილ ერთპიროვნულ რეკორდსმენს — გერმანიას დაეწია.**

არის კიდევ რამდენიმე ფაქტი, რომელიც ზღაპრულს ჰგავს. უპირველესად, ესაა „ფურია როხას“ უნიკალური მიღწევა — პირენეელები ჯერჯერობით და, ალბათ, კარგა ხნის განმავლობაში ერთადერთნი არიან, მიჯრით სამჯერ რომ მოიგეს ოფიციალური ტურნირები.



განსაკუთრებული პატივი უნდა მიეგოს მარკიზ ვისენტე დელ ბოსკეს, რომელიც ერთადერთი მწვრთნელია პლანეტაზე, „მუნდიალი“, ძველი სამყაროს პირველობა და ჩემპიონთა ლიგა რომ დაასრულა ტრიუმფით.

და ბოლოს: მართლაც გასაოცარია წინა ევროპული ფორუმის გმირის ფერნანდო ტორესის წლევანდელი გაბრწყინება, რომელიც ამჯერად, მართალია, შეხვედრათა უმეტესობას სათადარიგოთა სკამიდან იწყებდა, მაგრამ საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მაინც მოიპოვა.

**ესპანეთი — იტალია 4:0 (2:0)**

**გოლები:** სილვა, ალბა, ტორესი, მატა.

კინაღამ დაგვავიწყდა კიდევ ერთი სარეკორდო მაჩვენებლის აღნიშვნა — აქამდე გამართულ უმაღლესი რანგის ტურნირებში ასეთი სოლიდური სხვაობით არც ერთი ფინალური მატჩი არ დამთავრებულა.

ამავე დროს, არავინ დააბნიოს კიევის ოლიმპიურ სტადიონზე დადგმული სპექტაკლის ანგარიშმა. შესვენებამდე „სკუადრა აძურა“ ღირსეულად გამოიყურებოდა და ცდილობდა მრისხანე მეტოქის ჩხვლეტისთვის ჩხვლეტითვე ეპასუხა, რაც ეპიზოდებში გამოდიოდა კიდეც. ამ მომენტებში შეუდარებელი გახლდათ იკერ კასილიასი, რომელმაც პირწმინდად მოუგო დუელი კოლეგა ბუფონს.

ვფიქრობთ, აპენინელებს გადამწყვეტი ფსიქოლოგიური დარტყმა პირველი ტაიმის მიწურულს გაშვებული მეორე გოლით მიადგათ, ბრძოლას ინტრიგა კი 60-ე წუთზე ტიაგო მოტას მიღებულმა ტრავმამ მოუკლა, რის გამოც ჩეზარე პრანდელის გუნდი მინდორზე ათი კაცის შემადგენლობით დარჩა.

მოკლედ, საფეხბურთო სამყაროში ინიესტას, ხავის, ფაბრეგასის, სილვას, პიკეს, კასილიასისა და ტორესის ეპოქა გრძელდება.

როდემდე? ამ კითხვას პასუხი 2014 წლის „მუნდიალზე“ გაეცემა, რომლის შესარჩევ ეტაპზეც 11 სექტემბერს ეს ვარსკვლავური კრებული თბილისში გვეწვევა და „ჯვაროსნებს“ მოუწყობს გამოცდას.

**გიორგი შოთაძე**

## ჭიდაობა

# გენერალური რეპეტიცია გერმანიაში

**გასულ უქმეებზე დორტმუნდში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა „გერმანიის დიდი პრიზი“ გათამაშდა. შეჯიბრებაში საქართველოს ოლიმპიურმა ნაკრებმაც იასპარეზა, რაც მისთვის ლონდონის წინ გენერალური რეპეტიცია იყო. მთავარი მწვრთნელის — ბეგი დარჩიას ხელმძღვანელობით ჩვენმა ექვსეულმა ოთხი მედალი მოიპოვა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ევროპის ჩემპიონი რევაზ ლაშხი (60 კგ). პირველ წრეში მან ხორვატი ივან ლიზატოვიჩი დაამარცხა, შემდეგ მის გზას გაუყენა სამხრეთ კორეის წარმომადგენელი ეუნ ბიმ კიმი, გერმანელი კრისტოფ ბასტი, ფინელი ევროპის ჩემპიონი იარკო ალა-პუიკუ. ფინალში მსოფლიოს ჩემპიონს, ევროპის პირველობების ორგზის გამარჯვებულსა და პეკინის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან აზერბაიჯანელ — როვშან ბაირამოვს სძლია.**

მსოფლიოს ორგზის ვერცხლისმედლიან მანუჩარ ცხადაიას მწვრთნელებმა ამჯერად წონა არ დააკლებინეს და 74 კილოში აჭიდავეს. ჩვენებურმა ბელარუს იაუჰენ ბაჩკოს, კორეელ ნეულ ჰუსან ჯეონს და ჩეხ ტომაშ სობეცკის აჯობა, ფინალი კი ხორვატ ბისო სტარჩევიჩთან წააგო.

84 კილოში ვლადიმერ გეგეშიძემ პირველ წრეში ბელარუსი მსოფლიოს ჩემპიონი ალიმ სელიმაუ დაამარცხა, მეორეში კი მოულოდნელად შვედ კრისტოფერ იოჰანსონთან დათმო პაექრობა. სანუგეშოში ორი შეხვედრა მოიგო და „ბრინჯაო“ დაისაკუთრა. მსგავსი გზით მივიდა მესამე ადგილამდე სოსო ჯაბიძეც (96), რომელსაც მეორე წრეში შვედმა ფრედრიკ შოენმა აჯობა. ამ უკანასკნელმა ფინალში ათენის ოლიმპიადის ეგვიპტელი ჩემპიონი კარამ მოჰამედ გაბერ იბრაგიმი (ელადაში რამაზ ნოზაძის მძლეველი) დაჯაბნა. ჯაბიძემ კვარცხლბეკზე ასასვლელად პოლონელ რადოსლავ გრიზბუკს დააყრევინა ფარ-ხმალი. ჩვენი გუნდიდან ზურაბ დათუნაშვილმა (74) და გურამ ფერსელაძემ (120), შესაბამისად, მეცხრე და მეშვიდე ადგილები დაიკავეს.



**ლექსო ცინაძე**

## რაგბი

# ტონგამაც გვაჯობა

**ამერიკულ სოლთ ლეიქ სითიში 20 წლის მორაგბეთა ალაფზე საქართველოს ნაკრებმა ქვეჯგუფში იაპონიასთან 3 ქულით წააგო და მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის შანსი დაკარგა. სამაგიეროდ, ალაფზე ბრინჯაოს მოპოვება შეეძლოთ. ტონგას პირველ ტაიმში 12-ქულიანი სხვაობით უგებდნენ. სამწუხაროდ, ჩვენებმა ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და 29:31 დამარცხდნენ.**

## წყალბურთი

# თასი შეინარჩუნეს

**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ წყალბურთელთა „თბილისის თასის“ გათამაშებაში მასპინძელთა ორ ნაკრებთან ერთად პოლონელები და ბელარუსებიც მონაწილეობდნენ.** წინა ორი შეჯიბრების მსგავსად, ამჯერადაც საქართველოს პირველმა ნაკრებმა იყოჩაღა. მთავარი მწვრთნელის — ზვიად დავითიანის შეგირდებმა ჯერ ახალგაზრდა წყალბურთელებით დაკომპლექტებული ქვეყნის მეორე ნაკრები დაამარცხეს, შემდეგ ბელარუსებსა (15:10) და პოლონელებსაც (9:6) სძლიეს, მოაგროვეს 9 ქულა და თასი შეინარჩუნეს. მე-2 ადგილზე ბელარუსები გავიდნენ, რომლებმაც გადამწყვეტ პაექრობაში საქართველოს მე-2 ნაკრებს მოუგეს 12:6. მესამე-მეოთხე ადგილები, შესაბამისად, ჩვენების მე-2 გუნდმა და პოლონელებმა დაიკავეს.



**გივი გაგუა**

## ფარიკაობა

# აჭარამ ჭაბუკებს უმასპინძლა

**ბათუმში მეხუთედ გაიმართა ფარიკაობაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის — ზაურ თავაძის მემორიალი. ჭაბუკთა პაექრობაში ქართველებთან ერთად ირანის, თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებმაც იასპარეზეს. სამდღიანი ორთაბრძოლების შემდეგ სახეობების მიხედვით კვარცხლბეკზე ავიდნენ:**

**ხმალი. გოგონები.** 1. ანა აფრასიძე (თბილისი), 2. ანა სინატაშვილი, 3. ელენე ნანობაშვილი (ორივე — ქუთაისი) და მაია ფხაკაძე (თბილისი). **კაცები.** 1. საბა სულამანიძე (თბილისი), 2. გელა მერკვილაძე, 3. ვაჟა რეჭია (ორივე — ქუთაისი) და ნოდარ შენგელია (თბილისი).



**რაპირა. გოგონები.** 1. კატერინა ციბიროვა (რუსეთი), 2. თეონა გოგლიძე (თბილისი), 3. ოლგა ვაკილოვა (რუსეთი) და ანიტა აგაბაბიანი (სომხეთი). **ვაჟები.** 1. ლუკა ღაღანიძე (თბილისი), 2. მაიკლ ოჰანესიანი (სომხეთი), 3. ლაშა შალვაშვილი და გიორგი მელაშვილი (ორივე — თბილისი).

**დაშნა. გოგონები.** 1. აიბუკე ონანი (თურქეთი), 2. მარია საუმოვა (რუსეთი), 3. მარია ზაკირჩენკო და ანა ცირგვავა (ორივე- ქუთაისი). **ვაჟები.** 1. ირაკლი ფანცხავა (ქუთაისი), 2. ანდრანიკ კოჩარიანი (სომხეთი), 3. ავთანდილ სიმსივე (ქუთაისი) და არმენ აზარიანი (სომხეთი).

**ლაშა დიდია**

## ლიცენზიატი

# ოთარ თუშიშვილი

**ოთხი წლის წინათ, პეკინის ოლიმპიადის შემდეგ, 30 წლის ქართველ ფალავან ოთარ თუშიშვილს ვკითხე, — სამომავლოდ რას აპირებ-მეთქი.**

**— ჩინეთის დედაქალაქში გამგზავრებამდე რევაზ მინდორაშვილს ვუთხარი, თავს ხალიჩაზე კარგად ვგრძნობ, მაგრამ პეკინის ოლიმპიადაზე მედალს თუ ავიღებ, ჭიდაობას შევეშვები, რადგან ტრავმებმა გამაწამა—მეთქი. ტყუილი მითქვამს: ჭიდაობისადმი ჩემი ჟინი ოლიმპიურმა მედალმაც ვერ ჩაკლა. შინ რომ დავბრუნდი, საკუთარ თავს ვუთხარი — სპორტულ კოლექციას მსოფლიოს ჩემპიონატის ან ოლიმპიური თამაშების ოქროთი თუ არ გაიმდიდრებ, ხალიჩიდან ფეხს არ მოიცვლი-მეთქი. მეორე დღესვე ომისგან დაზარალებულ დარბაზს მივადექი. მწვრთნელებთან და მოჭიდავეებთან ერთად, დავასუფთავეთ, დავალაგეთ და მომავალი ორთაბრძოლებისთვის ვარჯიშს შევუდექი.**

ოთარ თუშიშვილმა ჭიდაობა 10 წლისამ დაიწყო მერაბ მუზიაშვილის ხელმძღვანელობით. 1991 წლიდან ნუგზარ სხირელი ამეცადინებს. 1993 წელს ჭაბუკ მოჭიდავეთა მსოფლიოს პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. თანატოლთა შორის ევროპის 1996 წლის ჩემპიონმა და ორგზის მესამე პრიზიორმა 1999 და 2001 წლებში კონინენტის ჩემპიონატებზე მესამე ადგილები დაიკავა, მსოფლიოს ჩემპიონატებზე კი ერთხელ „ვერცხლი“ (2006 წ.) და ორჯერ „ბრინჯაო“ (2005, 2007) დაიმსახურა. პეკინის ოლიმპიურ თამაშებზეც მესამე ადგილი დაიკავა. 34 წლის ფალავანი ოთხი წლის წინათ საკუთარი თავისთვის მიცემულ პირობას ასრულებს — რადგან მსოფლიოს ჩემპიონობა ვერ მოიპოვა, ხალიჩას შემორჩა, შინაურ კონკურენციას გაუძლო და ლონდონის ოლიმპიური თამაშების საგზურიც მოიპოვა. ახლაც მონდომებით ვარჯიშობს, რათა ოცნება აისრულოს. ამას წინათ ოთარს ვესაუბრე და ჩინური ბატალიების გახსენება ვთხოვე.

— მართალია, მაშინ საქართველოში ომი იყო და რუსები ჩემს მშობლიურ გორს ბომბავდნენ, მაგრამ 13 აგვისტოს მანუჩარ კვირკველიას და ირაკლი ცირეკიძის ოქროს მედლებმა დროებით ყველა



პრობლემა გადაგვავიწყა და დანარჩენებიც საბრძოლველად განგვაწყო. სტარტზე იაპონელი კაზუჰიკო იკამაცუ დავამარცხე. მეორე წრეში სახელოვანი ბულგარელი ფალავანი სერაფიმ ბარზაკოვი მყავდა მეტოქედ. არაერთხელ შევხვედრივართ ხალიჩაზე. 2005 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მან მომიგო, მომდევნო წლის მსგავს შეჯიბრებებზე მე ვაჯობე. კერკეტი კაკალია, მაგრამ პეკინში ვერას გახდა და ორივე პერიოდი დათმო. ამის შემდეგ დარწმუნებული ვიყავი, წინ ვერავინ დამიდგებოდა, მაგრამ ნახევარფინალში მსაჯებმა მიმუხთლეს...

— გათურქებულ ჩეჩენ რამაზ შაჰინთან ოთარის ჭიდაობის ვიდეოჩანაწერი რამდენჯერმე ვნახე, — ჩაერია საუბარში ნუგზარ სხირელი. — დიდი უსამართლობაა, რაც იქ მოხდა: მსაჯმა ტომარაში ჩაიხედა და ისე ამოიღო სასურველი ბურთულა. მერე შაჰინს ქულაც დაუმსახურებლად მისცეს. შემიძლია ვთქვა — ოთარი ჩემპიონობის ღირსი იყო, ის კი „ბრინჯაოს“ დააჯერეს.

— მართალია, დაუმსახურებელმა წაგებამ გული გამიტეხა. მაგრამ რას ვიზამდი — შინ ხელცარიელ დაბრუნებას, ცხადია, მესამე ადგილი ვამჯობინე. ამიტომ გადამწყვეტ პაექრობაში კუბელი ლეანდრო გარსონის დასამარცხებლად ძალ-ღონე არ დამიზოგავს...

გორელმა ფალავანმა ბოლო ოთხი წლის განმავლობაშიც გვარიანად გადაიტანა ტრავმები, ყველა ტკივილს გაუძლო და ისევ მწყობრშია. უმაღლესი ჯილდოსთვის ბოლო შანსი დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში ექნება და მის გამოყენებას ეცდება.

**ვაჟა დანელია**

## საგანგებო განცხადება

„ფონდი ქომაგი“ მოგმართავთ ყველა იმ მოქალაქეს, რომლებმაც განცხადებით მოგვმართეს დახმარების თხოვნით!

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დაზარებულები იქნებით შსს სამინისტროს მიერ მოწმის სახით სისხლის სამართლის საქმეზე ჩვენების მისაცემად აუცილებლად დაგვიკავშირდით მობილურის ნომერზე: 595 39 29 92. ან ქალაქის ნომერზე 231 30 61

„ფონდი ქომაგი“ არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით მოახდენს თქვენი ინტერესების დაცვას და ადვოკატირებას.

„ფონდი ქომაგის“ გამგეობის თავმჯდომარე
იაა მეტრეველი.

## ჩვენი კარაბადინი

### დაგვიანებული მამობის პლუსები

**ბავშვები, რომლებიც ხანდაზმული მამებისგან გაჩნდნენ, უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი ანთროპოლოგები.**

**მათ აღმოაჩინეს, რომ ასაკთან ერთად თელომერები-ქრომოსომების ბოლოების მონაკვეთები (ისინი მამაკაცის სპერმაშია, რომლებზეც პირდაპირ არის დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა) გრძელდება, და ეს გრძელი თელომერები შეიძლება გადაეცეს მემკვიდრეობით შემდეგ თაობას.**

თელომერების გამოკვლევამ, რომელიც მოეწყო ახალგაზრდა ფილიპინელების ჯგუფთან, აჩვენა, რომ თელომერები უფრო გრძელი იყო გამოკვლევის იმ მონაწილეებთან, ვისი მამებიც და პაპებიც ჩასახვის მომენტში ხანდაზმულები იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ დაგვიანებული მამობა ზრდის მუცლის მოწყვეტისა და მემკვიდრეობითი დაავადებების რისკს, მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ბავშვის ჯანმრთელობისთვის სიცოცხლის ხანგრძლივობის უპირატესობა მაინც უფრო დიდია. მაგალითად, გრძელი თელომერების გამოკვლევა დადებითად აისახება უჯრედების სწრაფ ზრდაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმუნური სისტემების, კუჭ-ნაწლავისა და კანის ჯანმრთელობისთვის.

**გამოკითხვა**

**გიშლით ხელს ძილში ხმაური ქუჩიდან?**

**54 პროცენტი — დიახ, მიშლის.**

**36 პროცენტი — არა, ჩვენთან ღამით ქუჩაში სიწყნარეა.**

**6 პროცენტი — არა, ჩვენ ფანჯრებს არ ვაღებთ.**

**4 პროცენტი — არა, ზაფხულში ქალაქში არ ვცხოვრობთ.**

**სულ გამოკითხვაში მონაწილეობა 1506 კაცმა მიიღო.**

### კანადის ოქრო

**„კანადის თხევადი ოქრო“ — ნეკერჩხლის სიროფი — საჭიროებს ახალ ნიშანდებას სიყალბისგან დაცვისთვის, მიაჩნიათ კანადელ სენატორებს. ნეკერჩხლის სიროფი — ეს არის ლერწმისა და ჭარხლის შაქრის ბუნებრივი შემცვლელი. კანადიდან მისი ყოველწლიური ექსპორტი მსოფლიოს 45 ქვეყანაში 40,6 ათას ტონას შეადგენს.** პროდუქტი უკვე დიდი ხანია გახდა კანადური კულინარული ტრადიციების განუყოფელი ნაწილი: მას სთავაზობენ ოლადისთან და ომლეტთან ერთად. მას ასხამენ ღორის და ქათმის შემწვარ ბარკლებს, მით აზავებენ სახელგანთქმულ „თახვის კუდებს“ — კანადაში ასე პოპულარულ ფუნთუშებს. ფრანგულენოვანი კვებეკის ერთ-ერთ გასტრონომიულ შედევრად ითვლება ერთი წყვილისთვის მომზადებული ორაგული, რომელსაც ნეკერჩხლის სიროფს უმატებენ.

### რას თამაშობენ გერმანელი ბავშვები?

**ლოზუნგი „გთავაზობთ ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოებს“ ამშვენებს გერმანიაში ბევრ მაღაზიას ბავშვებისთვის. ეკოსათამაშოების იდეა წამოაყენეს სათამაშოების საერთაშორისო ბაზრობაზე ნიურნბერგში 2011 წელს. ბევრი მშობელი ხომ სათამაშოების ყიდვის დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად ეკოლოგიურობას მიიჩნევს.** ეს მხოლოდ მასალებს როდი შეეხება. ბევრი გერმანელის თვალსაზრისით, სათამაშოები უნდა დაეხმარონ ბავშვებს შეიმეცნონ, რომ ეკოლოგიასა და კლიმატს დაცვა სჭირდება. ამ მიზანს ემსახურება მაგიდისა და კომპიუტერული თამაშობანი, თავსატეხები... ეკოლოგიური შემეცნების განვითარებას ხელი უნდა შეუწყოს თამაშობამაც „მზის მეგობრები“. კვების ელემენტები, რომლებიც შედის სათამაშოების ამ კომპლექსში, იმუხტება მზის ენერგიით.

# რა არის ჯოხზე წამოცმული?

**ნაყინის ათობით სორტი არსებობს: დაწყებული კლასიკურიდან და ყველაზე ეგზოტიკურით დამთავრებული. აი, სახეობა კი სულ რამდენიმეა, ისინი დაგვეხმარებიან კიდეც არ დავიბნეთ ნაყინის სიუხვეში და ავირჩიოთ ყველაზე, ყველაზე...**

### პლომბირი

**ეს ცხიმიანი პროდუქტია, ვინაიდან მზადდება კარაქზე. არსებითად, სწორედ ეს ხდის მას გემრიელს და ყველასთვის საყვარელს. ასეთ შემადგენლობას აქვს სარგებელიც.** კარაქი შეიცავს სასარგებლო ცხიმოვან მჟავეებს. ესენია, ძმრის, რძის, პროპიონის. ისინი, სხვათა შორის, ცხიმის მხოლოდ ერთ სახეობაში – რძისაშია და ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ნივთიერებათა ცვლაში – აუმჯობესებენ საკვების გადამუშავებას, ხელს უწყობენ ნახშირწყლების დაშლას და ენერგიის გამომუშავებას. საღებავები და ქიმიური დანამატები პლომბირში არ არის.

**ცხიმიანობა: 12-20 პროცენტი:**

**კალორიულობა 100 გრამზე: 250 კილოკალორია.**

### რძისა და მცენარეულის

**უფრო მსუბუქია. ნატურალურ რძის ცხიმთან ერთად იყენებენ მცენარეულსაც: ქოქოსისა და პალმის ზეთს.** ისინიც ნატურალურია, თუმცა შეიცავენ ცხიმოვან მჟავეებს, რომლებიც ამაღლებენ სისხლში „ცუდი“ ქოლესტერინის, აგრეთვე ტრანსცხიმების დონეს. ტრანსცხიმებთან დაკავშირებით მთელი მსოფლიოს მეცნიერები ერთი აზრისანი არიან – მათ ბრალი მიუძღვით სიმსუქნის ეპიდემიისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ზრდაში.

**ცხიმიანობა: 4-12 პროცენტი.**

**კალორიულობა 100 გრამზე: 100-200 კილოკალორია.**

### შარბათი

**ამას ამზადებენ ხილის წვენისგან, შაქრის, რძის ფხვნილისა და რძის ცხიმისგან.** ეს სორტი სახელგანთქმულია თავისი მსუბუქი, ჰაეროვანი კონსისტენციით. ამის გამო გვეჩვენება, რომ ეს ნაყინი ჭიქაში უფრო მეტია, რაც, დაგვეთანხმებით, გვსიამოვნებს.

**ცხიმიანობა: 1-2 პროცენტი.**

**კალორიულობა: 150-170 კილოკალორია.**

### ხილის ყინული

**მის შემადგენლობაში შედის: წყალი, შაქარი, ხილის წვენი და გემოვნებითი დანამატები. ცხიმი ასეთ ნაყინში არაა, ამიტომ ყველა სორტთან ის ყველაზე დაბალკალორიულია. მაგრამ თავისი კვებითი ღირებულებით ხილის ყინული მაინც „ფშუტე სასმელია“.** გაზიანი ან შაქრიანი წვენის შემცველი სასმელი. ერთისაც და მეორისაც 100 გრამში არის დაახლოებით 50 კილოკალორია და 10-12 გრამი მსუბუქი ნახშირწყალი. ხილის ყინულის კალორიები ცხოვრების ნაკლებმოძრავ წესში ისევე ილექება „გვერდებში“, როგორც გაზიანი სასმელების ცარიელი კალორიები. ამიტომ არ უნდა დავიბნეთ



ამ გემრიელი ტკბილეულთან დაკავშირებით, ნუ მივიჩნევთ მას „გამახდუნებელ“ პროდუქტად.

**ცხიმიანობა: 0 პროცენტი.**

**კალორიულობა: 50 კილოკალორია.**

ЗДОРОВЬЕ

## ინფორმაცია

### კონტროლის პალატა აუდიტის სამსახურად გადაიქცა

**საქართველოს კონტროლის პალატა სახელმწიფო აუდიტის სამსახურად გარდაიქმნა, ხოლო კონტროლის პალატის თავმჯდომარეს გენერალური აუდიტორი ეწოდა.**

**როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან აცნობეს, შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებები უკვე ძალაშია.**

**სამსახურში განმარტავენ, რომ სახელწოდების ცვლილება საკადრო და სტრუქტურულ ცვლილებებს არ ითვალისწინებს.**

**უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო ორგანიზაცია და მსოფლიო პრაქტიკა იცნობს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების სამ ძირითად სახეს, მათგან ერთ-ერთი საპარლამენტო სისტემაა, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც ვესტმინსტერული მოდელი. მისი განმასხვავებელი ნიშანი სხვა სახეებისგან არის ის, რომ მას ერთპიროვნულად მართავს არჩეული პირი, ხოლო თავად დაწესებულება საპარლამენტო ანგარიშვალდებულების სისტემის ნაწილია.**

### „მაესტრომ“ 2 მლნ. ლარით იზარალა

**ტელეკომპანია „მაესტროს“2 მლნ ლარზე მეტი ოდენობით ზარალი მიადგა, — ამის შესახებ „მაესტროს“ გენერალურმა დირექტორმა ბაჩო კიკაბიძემ განაცხადა.**

**როგორც მან აღნიშნა, ტელეკომპანია „მაესტროს“ ყოფილ ოფისში, რომელიც თვეების განმავლობაში დალუქული იყო, ინახებოდა ტექნიკა, მათ შორის სატელიტის გადამცემი, რომლის ღირებულება მილიონ ლარს შეადგენს, თუმცა დღეს, როდესაც მეპატრონეები შენობაში შევიდნენ და მოხდა სახლის დათვალიერება „მაესტროს“ წარმომადგენლებთან ერთად, არანაირი ტექნიკა ადგილზე აღარ არის, ასევე წაღებულია საეთეროს აპარატურაც.**

**— სახლი გაჩანაგებულია. გატანილია ჩვენი ტექნიკა სრულად, დარჩენილია რამდენიმე ელექტროტექნიკური საშუალება, მათ შორის გენერატორი, რომელიც არის შეგნებულად დაზიანებული. ჩვენ გვაქვს აუდიტის დასკვნები და დაახლოებით 2 მლნ ლარზე მეტი ზარალი მიადგა ტელეკომპანია „მაესტროს“, — განაცხადა ბაჩო კიკაბიძემ, რომელიც „მაესტროს„ ყოფილი ოფისის შენობაში, ნუცუბიძის ქ.39-ში გუშინ საკუთარ ადვოკატ, დიმიტრი გაბუნიასთან ერთად მივიდა მას შემდეგ, რაც ოფისის შენობის მეპატრონეებმა 1-საათიანი მცდელობის შემდეგ შენობაში შეაღწიეს.**

ინტერპრესნიუსი

**მეუღლე ეთერი, შვილები მარინე, ნანა, გოჩა, სიძეები თემურ ვეკუა, ბაკურ გულუა, რძალი ნანა კვანტალიანი, შვილიშვილები იური, ნანინა, გიორგი, გიგი, ლევანი, შვილთაშვილები, ძმისწულები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**გრიგოლ (გრიშა) კირილეს ძე გეთია**

**პანაშვიდი 3, 4 VII, გამოსვენება 5 VII, 15 სთ. ქ. ზუგდიდი, ჭყონდიდელის 62.**

---

**საქართველოს პედიატრთა ასოციაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა პროფესორ ნინო მანჯავიძის მეუღლე**

**თენგიზ შანიძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**ს.ს. ი. ფაღავას სახელობის პედიატრიის ს/კ ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა პროფესორ ნინო მანჯავიძის მეუღლე**

**თენგიზ შანიძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტი და ზოგადი პედიატრიის მიმართულების თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორის ნინო მანჯავაძის მეუღლის**

**თენგიზ შანიძის**

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ ოჯახს.**

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: ვარ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დანიშნული მაქვს სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია. ივნისში ვხდები 65 წლის, მინდა დავინიშნო 36 წლის სტაჟით კუთვნილი ასაკის პენსიაც — თვეში 110 ლარი. ხომ მაქვს ამის უფლება?**

**ალექსანდრე გოკიელი**

**პასუხი:** სამწუხაროდ, არ გაქვთ, ვინაიდან მოქმედი კანონის შესაბამისად, როცა პიროვნებას ერთდროულად აქვს სახელმწიფო პენსიისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება, ენიშნება ერთ-ერთი, რომელიც მისთვის უფრო სასურველია. ერთდროულად 2 სახის სახელმწიფო სარგებლის მიღება კანონით დაუშვებელია.

* * *

**კითხვა: დანიშნული მაქვს სახელმწიფო კომპენსაცია. მომეცემა თუ არა იგი საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყების შემთხვევაში?**

**მარეხ ნიორაძე**

**პასუხი:** არა, არ მოგეცემათ. პირს, რომელსაც დანიშნული აქვს სახელმწიფო კომპენსაცია, მისი მიღება უწყდება საჯარო საქმიანობის დაწყების დღიდან, მისი განხორციელების მთელ პერიოდში.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.**

## ჩვენი თანამედროვე

# ფეხგაუპარსავი ქალის ქმრის გამდიდრების გზა

**ამერიკელ მილიარდერთა ახალი თაობა, რომელმაც უზარმაზარი ფული საკუთარი ნიჭის წყალობით იშოვნა — უცნაური ხალხია. ისინი არც მრავალმილიონიან წვეულებებს მართავენ, არც ავიამზიდებისხელა იახტებს და „ათასერთი ღამის“ მსგავს სასახლეებს ყიდულობენ, არც აუღებელ ციხე-სიმაგრეებს ამსგავსებენ თავის საცხოვრისებს. ფულს ისინი ძირითადად საკუთარი საყვარელი საქმის განვითარებასა და ქველმოქმედებაზე, უმეტესწილად, საგანმანათლებლო პროექტებზე ხარჯავენ.**

სწორედ ასეთი კაცია 28 წლის მარკ ცუკერბერგი, რომელიც წლის დამდეგისთვის 13,5 მილიარდი დოლარის მფლობელი იყო. მაისში მან 27 წლის ჩინელ პრისცილა ჩანზე იქორწინა, რომელიც არც ტოპ-მოდელს ჰგავს და, თავად მარკის თქმით, „ზოგჯერ ფეხების გაპარსვაც ავიწყდება“.

ახლად გამომცხვარმა ცუკერბერგების წყვილმა ისეთი ქორწილი გადაიხადა, რომ რამდენიმე ასეული კაცი წვეულებაზე ისე მივიდა, რომ არც კი იცოდა, თუ რა იყო თავყრილობის მიზეზი: ნათესავები და ახლობლები ჩვეულებრივ ვახშამზე მიიწვიეს, რომელიც პრისცილას სან-ფრანცისკოს კალიფორნიის უნივერსიტეტის მაგისტრის დიპლომის მიღების აღსანიშნავად გაიმართა. პატარძალს მორიდებული თეთრი კაბა ეცვა, მარკმა, რომელსაც ჟურნალმა „ჯი-ქიუმ“ „კალიფორნიის ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმული მამაკაცი“ უწოდა, ჰალსტუხი სულაც ცხოვრებაში პირველად გაიკეთა.

ჟურნალისტებს მოსვენებას არ აძლევს კითხვა: რატომ აირჩია ამ ებრაელმა ჭაბუკმა ჩინელი? რატომ და იმიტომ, რომ მოსწონს, ასე პასუხობს მათ საქმეში ჩახედული ხალხი. ერთმანეთი მათ ჰარვარდის უნივერსიტეტში გამართულ ერთ-ერთ წვეულებაზე... საპირფარეშოს რიგში გაიცნეს და ურთიერთობაც გააბეს, ხოლო როცა მარკმა, რომელიც მაშინ სოციალური ქსელის ფეისბუკის შექმნაზე მუშაობდა, კაჟმიწის ველში გადაბარგება გადაწყვიტა, სადაც ამჟამად ნანოტექნოლოგიების სფეროში ყველა წარმატებული ამერიკული კომპანიაა დამკვიდრებული, მას პრისცილაც გაყვა. ქალიშვილი მარკის მორიდებულ სახლში დასახლდა, რომელმაც, თავის მხრივ, ჩინური ენის სწავლა დაიწყო.

საგულისხმოა, რომ მარკ ცუკერბერგივით „უცნაური ტიპები“ არიან ასევე მილიარდელები **რიჩარდ ბრენსონი,** რომელმაც ფული პირველი კერძო კოსმოსური ხომალდის შექმნაში დააბანდა, **ელონ მასკი** — ფლეი-პელ საგადასახადო სისტემის დამაარსებელი და იმ კომპანიის მთავარი ინჟინერი, რომელიც რამდენიმე კვირის წინათ პირველი კერძო კოსმოსური ხომალდი გაუშვა საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე და რომლის საქმის პარტნიორმა **პიტერ ტიელმა** ცუკერბერგს საქმისთვის თავიდანვე ნახევარი მილიონი დოლარი ასესხა. ასეთივე იყო აწ განსვენებულ ფირმა „ეფლის“ შემქმნელი **სტივ ჯობსი...**



მიუხედავად იმისა, რომ სტომატოლოგი მამისა და ფსიქიატრი დედის შვილს მარკ ცუკერბერგს სავსებით უზრუნველყოფილი ბავშვობა და სიყმაწვილე ჰქონდა, **ჰარვარდის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი დღე-ღამეში 20 საათს მუშაობდა და 23 წლის ასაკში, საკუთარი ნიჭისა და მიზანდასახულობის წყალობით, მილიარდნახევარი დოლარის მფლობელი იყო!**

სხვათა შორის, ჰარვარდიდან ცუკერბერგი კინაღამ გარიცხეს იმის გამო, რომ საუნივერსიტეტო მონაცემთა ბაზა გატეხა: არქივიდან მან სტუდენტების ფოტოები ამოიღო, ისინი წყვილ-წყილად გაანაწილა და ყველაზე მიმზიდველთა დასადგენად თანატოლებს კენჭისყრა შესთავაზა. ეს გართობა ახალგაზრდებს ისე მოეწონათ, რომ ქსელში ამერიკის სხვა ცნობილ უნივერსიტეტთა უამრავი სტუდენტიც დარეგისტრირდა. ამრიგად, ჰარვარდის, იელის და სტენფორდის უნივერსიტეტების სტუდენტებმა ერთობლივად ჩაუყარეს საფუძველი ფეისბუკს.

მაინც რატომ არის მარკ ცუკერბერგი ისეთი კაცი, როგორსაც მას იცნობენ? მისი გამორჩეულობა არა იმდენად პიროვნების ფსიქიკური თავისებურებებით, არამედ იმ აღზრდით აიხსნება, როგორსაც დღესდღეობით შეძლებულ ამერიკელთა ოჯახები თავიანთ შვილებს აძლევენ. **მიუხედავად იმისა, რომ ამ ახალგაზრდებს საკმარისზე მეტი ფული აქვთ, როგორც წესი ისინი არდადეგებზე აუცილებლად მუშაობენ — ზოგი ოფიციანტად, ზოგი პიცის დამტარებლად, ზოგი სად და ზოგი — სად.** ამიტომაცაა, რომ ქონებისადმი მათი დამოკიდებულება რადიკალურად განსხვავდება ჩვენებური ახლად გამდიდრებული ხალხის შვილების სიმდიდრისადმი დამოკიდებულებისგან. დიდი ფული — თანატოლებისგან გამორჩევის საშუალება კი არა, არამედ საყვარელი საქმის მიყოლის საუცხოო საშუალებაა. ამერიკაში კი ეკონომიკა ისეა აწყობილი, რომ თუკი საინტერესო საქმე თან სხვებისთვისაც საჭირო აღმოჩნდება, მაშინ ნებისმიერს შეუძლია თავადაც გამდიდრდეს.

**დალი ხუნდაძე**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



**„სარკოზიც შს მინისტრი იყო და საფრანგეთის პრეზიდენტი გახდა“**

— რა თქმა უნდა, ირონიულად აცხადებს პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი, — შესაძლოა, კარიერის გზა მერაბიშვილმა ამ მიმართულებით განაგრძოს, თუ ახალი კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტის საპენსიო თანამდებობა მიმზიდველი აღმოჩნდება მისთვის. თუმცა, საინტერესოა, ვისი წარდგენილი იქნება ამ თანამდებობაზე ვანო მერაბიშვილი — ივანიშვილისა თუ სააკაშვილის?

„კვირის პალიტრა“.

**„აქამდე იყო ჟურნალი, ახლა იხილეთ კინო, ბატონებო! — ასე იტყვიან „ნაციონალები“**

— ამბობს ვალერი გელბახიანი, — ივანიშვილმა პოლიტიკური მეხამრიდი ვერ გააკეთა, რათა წაგებული დაეტოვებინა სააკაშვილი და არა თავად დარჩენილიყო წაგებული. ძალიან ბევრი ტაქტიკური შეცდომაა, მე არ ვიცი შიგნით რა ხდება, ან არ ეუბნებიან და ვერ უბედავენ სიმართლის თქმას ბიძინას, ან დათვურ სამსახურს აქვს ადგილი. ეუბნებიან — მიდი, მიაწექი, არაფერი იქნება საშიშიო... არადა, იქნება საშიში.

„ქრონიკა“.

**ვანო, გახსოვდეს ჟვანია!**

დიახ, გახსოვდეთ, რომ სააკაშვილს გაზის ონკანისთვის ხელი ჯერაც არ გაუშვია და თუ მას ძალაუფლების შენარჩუნებაში დაეხმარებით, შემდეგ თავად თქვენ — რეალური ძალაუფლებით აღჭურვილი პრემიერ-მინისტრი — გახდებით მისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი, როგორიც ზურაბ ჟვანია იყო.

„ასავალ-დასავალი“.

**რატომ გადაიყვანეს ვანო მერაბიშვილი პრემიერად**

ამის თაობაზე დღეს სხვადასხვა აზრი არსებობს. ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილის გადაწყვეტილების საკითხს ხალხზე ძალადობის გაძლიერებად აფასებს.

— ხელისუფლებას პოლიციის გამკაცრება სურს, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს პოლიციის უგუნურებას და იმას, რომ მათ ანალიზის უნარი დაკარგეს, — ამბობს ივანიშვილი.

„ახალი თაობა“.

**„საკრედიტო ნარკომანიის საფრთხე საქართველოში**

საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკით, 2012 წლის 4 თვეში კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიების რაოდენობამ 747 ერთეული შეადგინა, საიდანაც 43 პროცენტი, ანუ 323 შემთხვევა საკრედიტო ბარათებზე მოდის. — საკრედიტო ბარათის ყველაზე დიდი და ყველაზე გავრცელებული პრობლემა „საკრედიტო ნარკომანიის“ საკითხია. პრინციპი — პირველი დოზა უფასოდ, შემდეგ კი იხდი — საკრედიტო ბარათების შემთხვევაში განსაკუთრებით ეფექტურად მოქმედებს, — აცხადებს ექსპერტი საბანკო საკითხებში ლია ელიავა, — საკრედიტო ბარათის სიძვირე და ადვილხელმისაწვდომობა წარმოადგენს სერიოზულ რისკს იმ მომხმარებლისთვის, რომლებიც ვერ აკონტროლებენ საკუთარ ხარჯებს. გარდა ამისა, როგორც ელიავა აცხადებს, ძალიან ხშირად მომხმარებლებს ავიწყდებათ ფუნდამენტური სიბრძნე — იღებ სხვის ფულს დროებით, ხოლო აბრუნებ საკუთარ ფულს სამუდამოდ.

„რეზონანსი“.

## კადრი



## ანეკდოტები

— **მიხო,** მართლა მოგიკვდა სიდედრი? გილოცავ, ვუი, გისამძიმრებ! გულმა უმტყუნა?

— არა, კაცო, ფრანგულ კონიაკს მიტანებულმა შავი ხიზილალის ბუტერბროდმა დაახრჩო.

— რა მშვენიერი სიკვდილია!

* * *

— **საყვარელო** რძალო, პირუტყვი დააპურე?

— არა, დედიკო, თქვენს ვაჟს ჯერაც სძინავს...

* * *

— **რაიმე** საჩივარი ხომ არა გაქვთ, ავადმყოფო? იქნებ ცუდად გკვებავენ ან ექთნები იქცევიან ცუდად? — ეკითხება პაციენტს შემოვლისას მთავარი ექიმი.

— ვერაფერს ვერ გეტყვით, ექიმო, ძლიერი სკლეროზი მაქვს.

— რას ვიზამთ, ყველა დაავადებას აქვს თავისი დადებითი მხარე.

* * *

**იდეალური** ოჯახური ცხოვრების ფორმულა: ქმარმა ცოლს იმდენივე დრო უნდა დაუთმოს საწოლში, რამდენსაც ეს უკანასკნელი უთმობს მისთვის სადილის მომზადებას.

* * *



**რაც** გინდათ თქვით, მაგრამ ძალიან ვაჟკაცური პიროვნებაა პუტინი: მესამე ვადა არაფრის გულისთვის არგუნეს, მაგრამ მაინც პოულობს ძალას გაღიმებისთვის.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24